ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

გვ.7

ირაკლი ოქრუაშვილის დაცვის წევრი კობა კოშაძე დააკავეს

16 ივლისიდან
ელეონორ პორტერი
პოლიანა

„მე მიყვარს კითხვა“

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

ხუთშაბათი, 18 ივლისი, 2019 №168 (8122) ფასი: 60 თეთრი

შალვა ნათელაშვილი: „ივანიშვილს პრემიერობას რომ ვთავაზობდი, ამაზე ბოდიშს ვიხდი“

გვ.2



„ხაზარაძემ ასეულობით ათასი ადამიანი გამოასახლა საკუთარი სახლებიდან, საზღვარგარეთ გააქცია, თავი მოაკვლევინა“

„როგორ შეიძლება ანაკლია, ასეთი მნიშვნელოვანი ობიექტი, კერძო პირის ხელში იყოს

სოსო ცინცაძე: „ივანიშვილი ხაზარაძეს გაურიგდება ნაციონალების წინააღმდეგ“

გვ.4

პაატა დავითაია: „რუსეთი ყოველთვის ეცდება, თავში ჩაგვარტყას. ჩვენი ასარჩევია, თავს მივუშვერთ, თუ თავს დავიცავთ“

გვ.5

დიმიტრი შაშკინი: „იაკობ გოგებაშვილის სკოლებში დაბრუნების საკითხი არა პოპულიზმი, არამედ ტყუილია“

გვ.3

სამართალი

გვ.7

გახარია: „ივანიშვილმა 20 ივნისის მოვლენების შესახებ მეორე დღეს გაიგო“



სპეცრაზმელ ლევან იმერლიშვილს პატიმრობა შეეფარდა

„კახა ღავთაძე არის შერჩევითი სამართლის მსხვერპლი“

აქციის მონაწილეს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა

თურქეთიდან ყალბი 100 დოლარიანები შემოიტანეს

ეკონომიკა

გვ.6

„არ შეიძლება, ტურიზმი ქვეყნის განვითარების მთავარი დარგი იყოს“

ოქროს მაძიებელს გადასახადი 10-ჯერ უმცირდება

რამდენი დამტვრეული და მეორადი ავტომობილი შემოდის საქართველოში, არ აღირიცხება

„წელს ტურისტულ ზონებში ფასები დაიკლებს“

ISSN 1987-9385

5 რას ნიშნავს ლავროვის განცხადება საქართველოს შესახებ?

3 აჭარის ტელევიზია ივანიშვილის წინააღმდეგ

4 ნანა დევდარიანი: „ნულოვანი ბარიერით „ოცნებაც“ აგებს და ნაცმოძრაობაც“

8 ურსულა ფონ დერ ლაიენი ევროკომისიის პრეზიდენტი გახდა

შალვა ნათელაშვილი: „ივანიშვილს პრემიერობას რომ ვთავაზობდი, ამაზე ბოდიშს ვიხდი“

„ხაზარაძემ ასეულობით ათასი ადამიანი გამოასახლა საკუთარი სახლებიდან, საზღვარგარეთ გააქცია, თავი მოაკვლევინა“

შორენა მარსაგიშვილი

„როგორ შეიძლება ანაკლია, ასეთი მნიშვნელოვანი ობიექტი, კერძო პირის ხელში იყოს“

რატომ უნდა დატოვონ პოლიტიკური ველი ბიზნესმენებმა, რას უპირებს ამერიკის კონგრესი ივანიშვილს, რატომ მოიპატიჟა წლების წინ ის პოლიტიკაში და როდიდან დაიწყო მათ შორის დაპირისპირება, რატომ არ შეიძლება, ანაკლიის პორტი კერძო მესაკუთრის ხელში იყოს? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი ესაუბრება.

– წლების წინ თქვენ ამომრჩეველს დაჰპირდით, რომ თუ პრეზიდენტი გავხდები, ბიძინა ივანიშვილს პრემიერად დავასახელებო. მაშინ ალბათ არ გიფიქრიათ, რომ ივანიშვილი იქნებოდა ის, ვინც ახლა არის.

– ახლა გინდათ მე დამაბრალოთ მისი პოლიტიკაში მოყვანა? არა, მე ის პოლიტიკაში არ მომიყვანია. ჩემს ცნობილ განცხადებას მისი პრემიერად წარდგენის შესახებ არანაირი შედეგი არ მოჰყოლია. მინდა იცოდეთ, რომ ეს იყო პირა-განცხადება მხოლოდ და მხოლოდ.

ეს ის პერიოდია, როცა სააკაშვილი იზოლირებული იყო. ყველანი აქეთ ვიყავით, ის იქეთ იყო მარტო. ერთადერთი, ვინც მას მხარს უმაგრებდა, იყო ბიძინა ივანიშვილი. ეს განცხადებაც ამ მიზნით იყო გაკეთებული. მისი პრემიერად დასახელების დიდი სურვილი არც მქონია, რადგანაც მას 1999 წლიდან ვებრძოდი.

მას პირველად მაშინ დავუპირისპირდი, როცა სოლოლაკი გათხარა. მან წმინდა მიწას დასცა ნიჩაბი. იმ მიწას, რომელსაც ბაგრატიონებიც კი არ ეხებოდნენ. იქაურობას ხელს არც დამპყრობლები კიდებდნენ. ამან იქ 5 სართულიანი ბუნკერი შიგ მთაში გააკეთა. მაშინ ამოვიღე ხმა და მას შემდეგ ივანიშვილთან დაპირისპირება არ შემიწყვეტია.

– გამოდის, რომ უკვე 20 წელია, რაც თქვენ შორის დაპირისპირებაა, საიუბილეო თარიღია.

– 20 წლის წინ მე ამოვიღე ხმა, თორემ ის ბევრად ადრე დამიპირისპირდა – ჩემ წინააღმდეგ შევარდნაძეს და ჟვანიას ჩუმად აფინანსებდა. აფინანსებდა, რათა ლეიბორისტების წინააღმდეგ არჩევნების გაყალბება მომხდარიყო.

ისევ იმ განცხადებას დავუბრუნდები, რომელიც თავში შემახსენეთ. მიუხედავად იმისა, რომ არანაირი შედეგი არ მოჰყოლია, დღემდე ძალიან განვიცდი, რომ წლების წინ ასეთი რამე ვთქვი. ამის გამო ბოდიშს ვიხდი საზოგადოების წინაშე.

მაშინვე ვიცოდი, რა ღვთის პირიდან გადავარდნილიც იყო ეს ადამიანი, მაგრამ მომიწია ამ განცხადების გაკეთება და ბარემ გეტყვით, საიდან დაიწყო ეს ყველაფერი.

2007 წლისთვის პარტიაში საპატრიარქოდან ძალიან ცნობილი ქალბატონი შემოგვიგზავნეს.

– საპატრიარქოდან შემოგიგზავნეს?

– დიახ. სხვათა შორის, საპატრიარქოც ისევე აგზავნის პარტიებში ინფორმატორებს, როგორც უშიშროება. ჩვენც მოგვიგზავნეს ეს ცნობილი ქალბატონი, რომელიც პარტიის ხელმძღვანელობაში შედიოდა. მან ერთ დღეს პარტიის პოლიტკომიტეტის სხდომაზე დააყენა საკითხი, მოდი, ხალხს ვუთხრათ, თუ შალვას პრეზიდენტად აირჩევთ, პრემიერად ივანიშვილს დავასახელებთო. ამას დაეთანხმა პოლიტკომიტეტიც, რომლის წევრთა ნაწილი მალევე მიეყიდა ბიძინას.

და რაკი ამ წინადადებას პოლიტკომიტეტმა მხარი დაუჭირა, მეც დავთანხმდი – პარტიის თავმჯდომარე ვარ, დიქტატორი ხომ არა. გამოვაცხადე ის, რაც პოლიტკომიტეტმა გადაწყვიტა. საქართველოს მოსახლეობას კიდევ ერთხელ ბოდიშს ვუხდი ამის გამო.

– მოდით, ბოდიშებში გახარიას ნუ შევეცილებით, მაგას უყვარს მობოდიშება და ივანიშვილის ბოლო განცხადებებზეც ვისაუბროთ.

– ბოდიშსაც გააჩნია. გახარია ბოდიშს იხდის იმისთვის, რომ მერე რაღაც დააშავოს, თან ისე დააშავოს, რომ მას ბოდიშიც კი აღარ შველის. ბოდიშს რომ მოიხდი, მაშინ უნდა ეცადო, რომ ან იგივე არ ჩაიდინო, ანდა უარესი.

– „ოცნების“ ლიდერმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ნაციონალების გარდა ყველასთან ითანამშრომლებს. საინტერესოა, შედიხართ თუ არა ამ ყველაში თქვენ? 2011 წელს პოლიტიკაში რომ გამოჩნდა, პირველი განცხადება რაც გააკეთა, იყო ის, რომ შალვა ნათელაშვილი და ლეიბორისტები არ დამანახოთო.

– იძახდა, ლეიბორისტები ნაცებზე უარესები არიანო. მერე თქვა, ეს პარტია უნდა დაიშალოსო, მერე შალვას გარდა, ყველა ლიდერს შევხვდებიო. ყველა მაშინდელი ნაძირალა, ლიდერად წოდებული სუბიექტი, ფიზიკურად იყიდა და დღემდე მონებად ჰყავს. ისინიც ყველა იმ სიბინძურეს ამბობენ, რასაც ოლიგარქი უკვეთავს.

ჩვენი და ივანიშვილის კოალიცია არის ათასწლეულის ზღაპარი. რომელ კოალიციის შექმნაზე მელაპარაკება, როცა ის ახლა ციხეში უნდა იჯდეს და ჩვენებებს იძლეოდეს.

ჩვენ აუცილებლად ვითანამშრომლებთ ივანიშვილის საქმეზე გამოძიებასთან. ვითანამშრომლებთ, რათა გავიგოთ, სად წავიდა ქვეყნის სიმდიდრე. უნდა გავიგოთ, თუ რატომ მოუტანა ამდენი ვნება ჩვენს ხალხს. აგვიხსნას, რატომ ამოთხარა თვალები ახალგაზრდებს, რატომ გაიტანა ეროვნული სიმდიდრე, რატომ ააფეთქა საყდრისი, რატომ გაჩეხა ტყეები, რატომ შემოგვისია რუსები.

მას ნიურნბერგის მსგავსი პროცესი უნდა მოვუწყოთ. ივანიშვილს იმდენი დანაშაული აქვს ჩადენილი, თავის დროზე ფაშისტებსაც რომ არ ჩაუდენიათ.

გამოძიებასთან სიამოვნებით ვითანამშრომლებთ, ივანიშვილის პარტიასთან კი ეს გამორიცხულია.

– სხვა ოპოზიციურ პარტიებთან თუ აპირებთ ალიანსში შესვლას?

– ქართველი ხალხის გონი უკვე მივიდა იქამდე, რომ ჩვენ უნდა აგვირჩიოს. ქვეყნის საშველი მხოლოდ ეს არის. აგვირჩიონ და მერე ჩვენ დავაკომპლექტებთ კოალიციურ მთავრობას – ოპოზიციური პარტიებიდან ამოვარჩევთ პროფესიონალებს. ჩავაბარებთ შესაბამის დარგებს, მაგრამ მკაცრად გავაკონტროლებთ, რომ ბიუჯეტისკენ ხელი არავის გაექცეს. მათი საზრუნავი იქნება ხალხი და არა – საკუთარი ოჯახის პრობლემებით დამძიმებული სამყარო.

ლეიბორისტები მხოლოდ ასე დავთანხმდებით კოალიციურ მთავრობას. ვიღაცის უპირატესობა რომ ვაღიაროთ და სხვა პრემიერის დაქვემდებარებაში შევიდეთ კოალიციურ მთავრობაში, ეს არარეალურია.

– რატომ არის არარეალური?

– ჩვენ სხვის დაქვემდებარებაში კოალიციაში არასდროს შევალთ. ამაზე გვეხვეწებოდა შევარდნაძე, სააკაშვილი და ივანიშვილიც კი.

– აბა მაგათთან არ ვითანამშრომლებო?

– ეგ თავიდან, თორემ მერე სხვა ხასიათებზე იყო და გვეხვეწებოდა. ასე რომ, სხვის კოალიციაში ჩვენი შესვლა გამორიცხულია.

– ოპოზიციასთან არც თანამშრომლობას აპირებთ?

– როგორ არა. ჩვენ მთელ რიგ საკითხებზე ისედაც ვთანამშრომლობთ. აქციებზეც მათთან ერთად ვართ, 20 ივნისის ღამესაც ოპოზიციასთან ერთად ვიყავით.

ოპოზიციასთან ერთად დავიცავთ საარჩევნო ხმებსაც. ივანიშვილი არჩევნების გაყალბებას კიდევ ერთხელ თუ გაბედავს, რევოლუცია გარდაუვალი იქნება. პირადად მე ხალხს ვეღარ გავაჩერებ. ისე აღარ გავირჯები, როგორც ეს 20 ივნისს გავაკეთე. სხვათა შორის, ტაქსისტებიც ძლივს გავაჩერე. ეს აპრილის თვეში მოხდა, როცა მათთან ერთად ოლიგარქის სასახლეს მივადექით.

აპრილის თვეში დავრწმუნდი, რომ მისი საქმე ცუდად იქნებოდა. მე რომ არ გამეჩერებინა მაშინ ხალხი, შეიძლება მისი ნარჩენები გვეპოვა ბოტანიკურ ბაღში.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის უკვე დამთავრებულია და არა მგონია, არჩევნების გაყალბებაზე წავიდეს, მაგრამ ისიც იცოდეთ, რომ შხამიანი გველის მოჭრილი თავიც იკბინება. ეს ხომ აფრიკული შავი მამბაა, რომელსაც ყველა გველზე საშინელი შხამი აქვს.

– თქვენ ამბობთ, რომ ის არჩევნების გაყალბებას ვეღარ გაბედავს და უკვე დამთავრებულია. თუმცა თავად ივანიშვილი არ გამორიცხავს, რომ 2020 წელს ისევ უმრავლესობით მოვიდეს.

– იმ პარლამენტში თუ მისი დამსხვრეული ოცნება შევიდა, თუ იქ მოხვდა რუსეთის ეფესბეს ჯგუფი, რომელსაც პატრიოტთა ალიანსი ჰქვია სახელად, თუ იქ შევიდა ხაზარაძის ბანკირ ყაჩაღთა ჯგუფი, თუ იქ შევიდნენ მრეწველები, ამ შემთხვევაში ივანიშვილი შექმნის კოალიციას.

არჩევნების დროს ხალხს მოუწევს ძალიან ღრმა ფიქრი იმის თაობაზე, რომ ვინ სახავს თავს ოპოზიციონერად და სინამდვილეში ივანიშვილის მონაა.

– ხაზარაძე ახსენეთ და ისე ჩანდა, რომ ეგ ივანიშვილთან დაპირისპირებული იყო. ამ უკანასკნელმა ბანკირის პოლიტიკაში შემოსვლას ტაში დაუკრა და თქვა, რომ მიესალმება მის გადაწყვეტილებას.

– არანაირი დაპირისპირება მათ შორის არ არის. მათ მილიარდები აკავშირებთ და ერთმანეთზე უარესები არიან. 21-ე საუკუნის ბოროტების რეიტინგი რომ შეადგინოთ ოლიგარქიული ასპექტით, პირველი ადგილი უკავია ივანიშვილის და მეორეზეა ხაზარაძე.

ეს კაცი როგორ ბედავს ხმის ამოღებას. ასეულობით ათასი ადამიანი გამოასახლა საკუთარი სახლებიდან, საზღვარგარეთ გააქცია, თავი მოაკვლევინა. ისეთი საქმეები აქვს ჩადენილი, ქუჩაში გამოსვლას ვერ უნდა ბედავდეს, მაგან კიდევ პოლიტიკაში მოსვლა გადაწყვიტა. ეგღა მაკლია, მაგან დამიწყოს პოლიტიკოსობა.

არ ვიცი რამდენად მოვალ უმრავლესობით პარლამენტში, მაგრამ პირობას ვდებ, რომ ოლიგარქების პოლიტიკაში ყოფნის ხანას დავამთავრებ.

დღეს რომ პოლიტიკა ოლიგარქების ხელში ჩავარდა, ამაში პოლიტიკოსები ვართ დამნაშავე. პოლიტიკურ ველზე ადგილი გათავისუფლდა და ეგენიც შემოვარდნენ. არის ასეთი გამოთქმა – წმინდა ადგილი ცარიელი დიდხანს არ რჩებაო. პოლიტიკა რამდენად წმინდა ადგილია, ვერ გეტყვით, მაგრამ ეს ცარიელი ადგილი ოლიგარქებმა დაიკავეს.

საქართველოს უბედურება იცით, რის მერე დაიწყო, როცა ფულის წუწკმა შევარდნაძემ რუსეთის დავალებით საქართველოში ორ ოლიგარქს – ივანიშვილს და პატარკაციშვილს – მისცა თავშესაფარი. აი, მაშინ დაიწყო ქართული პოლიტიკის გათახსირება. მათ იყიდეს პოლიტიკოსები, სპორტსმენები, ექსპერტები. პუბლიცისტები, არტისტები.

პიროვნულად ბადრი ივანიშვილზე ბევრად მაღალ პარამეტრებზე იყო, მაგრამ ცხონებული ოლიგარქი იყო მაინც. ოლიგარქის ბუნება იცით როგორია, ვისაც გადაუხდის, ათმაგად უნდა ამოიღოს უკან.

– არადა ჩვენში ოლიგარქებს რატომღაც ქველმოქმედებს უწოდებენ.

– ოლიგარქი ქველმოქმედი ვერ იქნება. ქველმოქმედები გაცემულს უკან არ იბრუნებენ. ოლიგარქები კი ათმაგის ამოღებას ცდილობენ. ტყუილად კი არ ამბობდა რუზველტი, წარმატებული ბიზნესმენი ვერასდროს გახდება კარგი სახელმწიფო მოღვაწე, რადგან ის ფიქრობს საკუთარ ჯიბეზე და არა ხალხზე.

ეს ამერიკული პრაქტიკაა. ეს ქვეყანა მაშინ აყვავდა, როცა პოლიტიკაზე ფინანსური კონტროლი მოიცილა.

– კი დადეთ პირობა, პოლიტიკაში ოლიგარქიას დავასრულებო, მაგრამ ასეთი იოლი იქნება ამის გაკეთება? თანაც ახალი ფიგურაც გამოვიდა ასპარეზზე ხაზარაძის სახით.

– ხაზარაძეს მე ვაჩვენებ სეირს. არაფრით არ შეიძლება ანაკლიის პორტი იყოს მისი. ეს იგივეა, რომ პორტი ივანიშვილს მისცე ან რუსებს. ამ პერსონის კავშირები რუსეთთან ცნობილზე ცნობილია. სწორედ ხაზარაძის მეშვეობით დარჩათ „ბორჯომი“ რუსებს.

რომელი პროდასავლურობის მედროშე ეგ მყავს, კაცს ორი წიგნი ერთად არ წაუკითხავს, ის სტეპის ყაჩაღი გახლავთ. სრულებით ამართლებს გვარს. მართალია, ხაზარებმა რამდენჯერმე ილაშქრეს საქართველოში, მაგრამ მათ იმდენი ვნება არ მოუტანიათ, რამდენიც ხაზარაძეს. ისინი ილაშქრებდნენ და წავიდოდნენ, ეს 30 წელია, თითოეულ ოჯახზე ლაშქრობს.

ისევ ანაკლიაზე ვიტყვი. როგორ შეიძლება ასეთი მნიშვნელოვანი ობიექტი კერძო პირის ხელში იყოს. ეს არის პუნქტი, სადაც შეიძლება ნატოს ატომური წყალქვეშა ნავები შემოვიდეს. ამიტომაც არის რუსეთი ასეთი გაგიჟებული. ანაკლია უნდა იყოს სახელმწიფოს საკუთრება. იქედან შემოსული თანხებიც ბიუჯეტში უნდა შევიდეს და არა – ხაზარაძის, ანდა ბადრი ჯაფარიძის ჯიბეში.

ეს უკანასკნელი, როგორც გავიგე, ზვიადის დროს მაჟორიტარი ყოფილა. „მრგვალი მაგიდიდან“ მოხვდა პარლამენტში. კაცი „მრგვალ მაგიდაში“ იყო და გადატრიალების შემდეგ მაფიოზი გახდა. ამაზე მეტი რა უნდა ვთქვა, ყველაფერი ნათელია. ზვიადის თანამებრძოლი თუ იყო, მასთან ერთად ტყეში რატომ არ მოკვდა. პრეზიდენტს უღალატა და ხაზარაძესთან ერთად შეუდგა ქვეყნის გაუბედურებას.

– ბოლო დროს რამდენჯერმე იყავით ამერიკაში. ერთ-ერთი ვიზიტისას გვითხარით, რომ კონგრესში ივანიშვილის ანგარიშების გაყინვაზე დოკუმენტი მოამზადეს. რა ხდება ამ მიმართულებით, კიდევ დღის წესრიგშია ეს საკითხი?

– რა თქმა უნდა. ისევ დღის წესრიგშია. რამდენიმე დოკუმენტი მომზადებულია და თუ ივანიშვილი არჩევნების გაყალბებას გაბედავს, მას ანგარიშებს დაუყადაღებენ.

ჩემი აზრით, ახლავე უნდა მოხდეს მისი ქონების დაყადაღება და ის სახელმწიფოს უნდა დაუბრუნდეს. საყდრისი რომ ააფეთქა და იქედან მილიარდების ოქრო გაიტანა, ამას უკან დაბრუნება უნდა.

ჩვენ რომ არ გვებრძოლა, დღეს ქვემო ქართლისგან არაფერი იქნებოდა დარჩენილი. გახსოვთ ალბათ, თეთრიწყაროში მილიონობით მოჭრილი ხე რომ ვიპოვეთ. იქაურობის გადათხრა უნდოდა, მაგრამ ჩვენ რომ ავტეხეთ ხმაური, ვეღარ გაბედა. ჩვენ რომ არა, მთელ ქვემო ქართლს გადაფხეკდა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

დიმიტრი შაშკინი: „იაკობ გოგებაშვილის სკოლებში დაბრუნების საკითხი არა პოპულიზმი, არამედ ტყუილია“

განათლების სამინისტროში ამბობენ, თითქოს სკოლებში პირველ კლასებში იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ ბრუნდება, რაზეც საზოგადოებაში ბოლო დღეებში დიდი დისკუსია მიმდინარეობს. ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ სწორი გადაწყვეტილებაა, მეორე ნაწილი კი თვლის, რომ უგუნური გადაწყვეტილებაა. მმართველ გუნდში იმასაც ამბობენ, რომ ადაპტირებული ვერსია იქნება. განათლების მინისტრის ბოლო განცხადებით კი, სკოლას არჩევის შესაძლებლობა იქნება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში განათლების ყოფილი მინისტრი დიმიტრი შაშკინი საუბრობს:

„ოცნება“ იტყუება და ჰაერისგან პიარის გაკეთებას ცდილობს“

იაგო ნაცვლიშვილი

– დიდი დისკუსია მიმდინარეობს ბოლო დღეებში სკოლებში იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ დაბრუნების საკითხზე. თქვენი პოზიცია როგორია ამ საკითხზე?

– ნებისმიერ ადამიანს, რომელსაც ამ საკითხთან შეხება აქვს, ხედავს, რომ უმრავლესობის წევრები ცდილობენ ჰაერზე პიარის გაკეთებას. ამ ხელისუფლებას არ ესმის, რომ პიარი ცუდი სიტყვა კი არ არის, უბრალოდ, ჰაერის გაპიარება არ შეიძლება. ეს ჩვეულებრივი თაღლითობაა და ამაზე სხვა სიტყვას ვერ გამოვიყენებ. იმიტომ, რომ ყველა ადამიანს, ვისაც სკოლასთან შეხება აქვს და რომელიც არის ფილოლოგი ან ამ დარგის ექსპერტი, ჩემს სიტყვებს დაადასტურებს.

ნებისმიერი „დედა ენა“, რომელიც ახლა სკოლაშია, ეს შექმნილია იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ საფუძვლებზე. აქედან გამომდინარე იმაზე საუბარი, რომ რაღაცას აბრუნებენ, ეს არის თაღლითობა და ტყუილი.

– ანუ მმართველი გუნდი პოპულისტობს?

– არა, ეს პოპულიზმიც არ არის, ეს არის ტყუილი. პოპულიზმის დროს ზოგჯერ რაღაცასთან სიახლოვე მაინც არის, მაგრამ ეს არის ჩვეულებრივი პრიმიტიული ტყუილი. რას ჰქვია სკოლებში იაკობ გოგებაშვილის „დედა ენას“ აბრუნებენ?! ის სკოლიდან არავის არ გაუტანია. ნებისმიერი სახელმძღვანელო, რომელიც სკოლაში პირველ კლასში ქართული ენის სახელმძღვანელოა, ეს არის შექმნილი იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ საფუძველზე.

თუ ჩვენ ვსაუბრობთ იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ პირველ რედაქციაზე, ან ნებისმიერ სხვა რედაქციაზე, აქ სხვა პრობლემაა. პირდაპირ ე. წ. კოპი პეისტით წიგნის გადმოღება, რომელიც დიდი ხნის წინ იყო შექმნილი, შეუძლებელია და ესეც თაღლითობაა. ძველი სახელმძღვანელოს სკოლებში შეტანა ისეთივე თაღლითობაა, როგორც იაკობის „დედა ენა“ სკოლიდან განდევნო და ა. შ. იაკობ გოგებაშვილმა როდესაც „დედა ენა“ დაწერა, მერე მას არედაქტირებდა და რამდენიმე რედაქცია აქვს გაკეთებული. იმიტომ, რომ მას ძალიან კარგად ესმოდა, რომ სამყარო ვითარდება, ქვეყანა ვითარდება და სახელმძღვანელო საჭიროებს მუდმივ ცვლილებას.

ზუსტად ამის გამო, როდესაც ჩვენ ჩავატარეთ სახელმძღვანელოების გრიფირება, 2010 წელს ჩავწერეთ გრიფირების მოთხოვნებში და დღესაც პირდაპირ წერია, რომ პირველი კლასის ქართული ენის სახელმძღვანელო უნდა იყოს შექმნილი იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ საფუძვლებზე. ამაზე იყო ბევრი საუბარი ექსპერტებთან. გადაწყვეტილებას მე, როგორც მინისტრი, კი არ ვიღებდი, არამედ ვეყრდნობოდი ფილოლოგების მოსაზრებებს. მათ დაადასტურეს, რომ იაკობის „დედა ენა“ უმნიშვნელოვანესი რესურსია ქართული ენის სწავლებისთვის, რომელიც ჩვენი კულტურის ნაწილია. თუმცა, დაკოპირება არ შეიძლება, რადგან ის დიდი ხნის წინ შეიქმნა და სხვანაირი სამყარო იყო, სხვანაირი სიტყვების მარაგი სჭირდებოდა ბავშვს, სხვანაირად იზრდებოდა ბავშვი და განათლების სისტემაში სხვა გამოწვევები იყო.

მესამე ტყუილი რაც არის, ეს არის ის, რომ სახელმძღვანელოების გრიფირება დასრულებულია, მაგრამ გრიფირების ფანჯარა არავის გაუხსნია და ის იხსნება მინისტრის ბრძანებით და სანამ ეს არ იქნება, კანონით ვერ შედის სკოლებში. ანუ იმდენად ესმით თვითონაც, რომ „ჰაერს აპიარებენ“, რომ დე-იურედაც არ სცადეს, რომ ჩარჩოებში მოექციათ ჰაერის ეს პიარი.

– ანუ გამოდის, რომ კანონსაც არღვევენ?

– გამოდის, რომ სახელმძღვანელოდ ვერ იქნება გამოყენებული. ახლა უკვე შეცვალეს „პლანსტინკა“ და თქვეს, დამხმარე საშუალება იქნებაო. მკითხველს ბოდიშს ვუხდი რუსული სიტყვისთვის, მაგრამ ეს სიტყვა გამოხატავს კარგად აზრს. რას ნიშნავს დამხმარე სახელმძღვანელო?!

– ისიც გვითხრეს, რომ ეს უნდა იყოს ადაპტირებული. ანუ რა გამოდის, ვერც აპიარებენ საკმარისად?

– სასაცილოა ეს. როდესაც საუბარია ადაპტირებულ სახელმძღვანელოზე, დღეს ჩვენ ასეთი სახელმძღვანელო სკოლებში დიდი ხნის განმავლობაში. ასეთი ხალხი თავისი „ბრძენი“ იდეებით ჩვენ დროსაც იყო, რომლებსაც თემა არ ესმოდათ და მოდიოდნენ ჩემთან და „ისროდნენ“ სიტყვებს, რომ უნდა დავაბრუნოთ იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“. მე მისი პირველი რედაქცია მედო მაგიდაზე და ეს ხალხი როცა მოდიოდა, მე მას ვაძლევდი მათ და ვთხოვდი, რომ წაეკითხათ, გადაეშალათ მაინც, სანამ დაიწყებდნენ ლაპარაკს და ენახათ, რა სამყაროზე იყო იქ ლაპარაკი და რამდენად შეძლებდა იქ გამოყენებულ ტერმინებს ბავშვი დღეს. ამით მთავრდებოდა ჩვენი საუბარი.

– ამ იდეის მომხრეებისგან ასეთი არგუმენტიც გაჟღერდა, რომ ვინც აკრიტიკებენ დაბრუნებას, იმდენს იზამენ, რომ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ განახლებასაც მოითხოვენო. ამაზე როგორია თქვენი შეფასება?

– ბოდვაა. თქვენმა მკითხველმა რომ იცოდეს, ვიტყვი იმას, რომ საქართველოში 2 ძირითადი ფუნდამენტური წყარო იყო ქართული ენის სახელმძღვანელოსი, ერთი იყო იაკობ გოგებაშვილის „დედა ენაზე“ დაფუძნებული სახელმძღვანელოები, ხოლო მეორე როდონაიას, რომელსაც სხვა მეთოდოლოგია და მეთოდიკა ჰქონდა. რადგან იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ მნიშვნელოვანი ძეგლია და დიდ როლს თამაშობს ჩვენს კულტურაში, ამიტომ იყო მიღებული გადაწყვეტილება, რომ იაკობის „დედა ენაზე“ იყოს დაფუძნებული.

რაც შეეხება იმას, რაც მკითხეთ „ვეფხისტყაოსანზე“, ამაზე გეტყვით, რომ ჩვენთან სკოლაში მოდის 6 წლის ბავშვი, რომელმაც უნდა ისწავლოს ქართული ენა და წერა-კითხვა. ამისთვის არის საჭირო „დედა ენა“. თუ შენ ამ ბავშვს უქმნი დამატებით პრობლემებს, რაც მდგომარეობს იმაში, რომ უნდა აუხსნა ამ ბავშვს ორიგინალურ ვერსიაში რა წერია. გადაშალონ და ნახავენ, რომ იქ ტერმინებია, რომელიც ამ რეალობაში არ გამოიყენება. ის დაკავშირებულია იმ პერიოდთან, როცა იაკობ გოგებაშვილი წერდა. ბავშვს უნდა შეუქმნა პრობლემა თუ რას გულისხმობდა იაკობ გოგებაშვილი, როდესაც თავის დროზე წერდა „დედა ენას“, ანუ რა სამყაროს აღწერდა. „დედა ენა“ არის ჩვენი კულტურული ძეგლი, მაგრამ იმ ეპოქის ნაწილია, როდესაც ის შეიქმნა და აღწერს იმ ეპოქას და სამყაროს, როდესაც ის არის შექმნილი.

ავიღოთ ნებისმიერი ენა და ვერც ერთ მაგალითს ვერ მომიყვანთ, სადაც რომელიმე ნორმალურ ქვეყანაში არ იცვლება სახელმძღვანელო მინიმუმ 10 წელში ერთხელ. ეს არის ის პერიოდი, როცა ქვეყანა ვითარდება და ამიტომ არის განათლებაში ასეთი წესი, რომ სახელმძღვანელო უნდა შეიცვალოს და მოხდეს მისი კორექტირება-ადაპტირება.

თუ ვინმე გეტყვით, რომ იაკობის „დედა ენაში“ ყველაფერი ჩვეულებრივი ენით წერია, შეგიძლიათ ჰკითხოთ, ვაგონი როგორ არის ქართულად. იცით იაკობ გოგებაშვილი ვაგონს რას ეძახის?

– ნამდვილად არ მახსოვს.

– 99.9% ვერ გეტყვით. ეს იციან მხოლოდ იმ ფილოლოგებმა, რომლებიც სკოლებში ასწავლიან. მეც ფილოლოგებმა მასწავლეს. ქართულად არის რონოდა. ნებისმიერი სიტყვა, რომელიც თანამედროვე ეპოქაში გამოიყენება, მოყვანილი უნდა იყოს იაკობ გოგებაშვილის „დედა ენასთან“. სურათებზე არის აღწერა და წერს რა არის ეს. დღევანდელ ცხოვრებაში ის საერთოდ არ გამოიყენება და ეს არა თუ ბავშვებმა, არამედ მათმა მშობლებმაც არ იციან, რადგან ეს იმ ეპოქაში გამოიყენებოდა. ახლა ასეთი ნივთები საერთოდ არ გამოიყენება.

კამათი რომ დასრულდეს, მარტივ რაღაცას გთავაზობთ: აიღეთ იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ ორიგინალი და დარწმუნდებით, რომ ის ფილოლოგები და ექსპერტები არიან მართლები, რომ იაკობის „დედა ენის“ საფუძვლებზე უნდა იყოს შექმნილი სახელმძღვანელო, მაგრამ არა დაკოპირებული.

აჭარის ტელევიზია ივანიშვილის წინააღმდეგ

„მისი განცხადება არხის დისკრედიტაციას ემსახურება“

გუშინ, 17 ივლისს, ბიძინა ივანიშვილმა სასტუმრო „ჰილტონში“ გამართულ ბრიფინგზე აჭარის ტელევიზიის ჟურნალისტის პროფესიულ აქტიურობას „უზრდელობა“ უწოდა, ხოლო აჭარის ტელევიზია და რადიო „რუსთავი-2-ისა“ და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ფილიალად მოიხსენია.

აჭარის მაუწყებლის მენეჯმენტმა ამასთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა.

„საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო მუშაობს მაღალპროფესიული სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების დაცვით. ამას ჩვენი აუდიტორიაც დადებითად აფასებს და სხვადასხვა შემფასებელი ორგანიზაციაც.

ეს ჩვენი ვალდებულებაა საზოგადოების წინაშე, რაც კარგად აქვს გააზრებული მაუწყებლის ყველა თანამშრომელს.

აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ასეთი დახასიათება და მისი შერაცხვა პარტიულ ტელევიზიად ემსახურება, ერთი მხრივ, მის დისკრედიტაციას, მეორე მხრივ კი, თავად საზოგადოებრივი მაუწყებლის იდეის გაუფასურებას, რაც თავის მხრივ, კიდევ უფრო შეასუსტებს ისედაც არამდგრად დემოკრატიული განვითარების პროცესს საქართველოში.

„სად გაიზარდე შვილო, ეცით პატივი კოლეგას მაინც, კითხვაზე მაპასუხებინეთ, „დაწყნარდით ცოტა“, „ნუ უზრდელობ“ ასეთი რეპლიკებით მიმართა პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტს, რომელიც ბიძინა ივანიშვილს შინაგან საქმეთა მინისტრის გადადგომასთან დაკავშირებით კითხვებს უსვამდა“ – წერია განცხადებაში.

ირაკლი ლექვინაძე: „ბიზნესის ერთ-ერთ გამოწვევად გაჭიანურებული ბიზნესდავები რჩება“

სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებში გაჭიანურებული ბიზნესდავები დღემდე ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება, – ამის შესახებ ბიზნესომბუდსმენმა, ირაკლი ლექვინაძემ განაცხადა. როგორც მან აღნიშნა, ბოლო წლების დინამიკის თანახმად, საქმეების განხილვის დრო არის შემცირებული, ასევე ერთ მოსამართლეზე საქმეების რაოდენობაც ბიზნესის ნაწილში.

– თუმცა ეს არ არის იმდენად მნიშვნელოვანი შემცირება, რომელმაც შეიძლება, გაუმჯობესოს დავების განხილვის ნაწილში კომპანიების მდგომარეობა, ანუ დავების განხილვის დრო დღესაც რჩება ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად და ის ალტერნატიული მექანიზმები, რომლებიც დღეს არის წარმოდგენილი, იგივე არბიტრაჟის გაძლიერება თუ მედიაციის შესახებ კანონი, ერთ-ერთი პასუხია ამ მიმართულებით, – განაცხადა ლექვინაძემ.

შესაბამისად, მისი თქმით, მაგალითად მედიაციის კანონის რაც შეიძლება სწრაფად მიღება, ამ მიმართულებით ბიზნესის მდგომარეობას მეტად გააუმჯობესებს.

1tv.ge

ეკა გიგაური: „იმედი გვაქვს, გამოძიება მაღალი თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის საკითხსაც დააყენებს“

გამოძიება მზად უნდა იყოს, რომელი თანამდებობის პირის ბრალეულობაც არ უნდა გამოიკვეთოს, ამ ბრალეულობისთვის მისი პასუხისმგებლობა დადგეს, – ეს განცხადება 20-21 ივნისის მოვლენებისას სამართალდამცავთა მიერ უფლებამოსილების გადამეტების ფაქტებზე მიმდინარე გამოძიებასთან დაკავშირებით, სახალხო დამცველის აპარატთან შექმნილი საკონსულტაციო საბჭოს წევრმა ეკა გიგაურმა გააკეთა. გიგაური მიესალმება იმ ფაქტს რომ გამოძიების პროცესში სახალხო დამცველია ჩართული.

– ძალიან კარგია, რომ ამ გამოძიებაში სახალხო დამცველი ჩაერთო. ცხადია, ის არის გარანტია იმისა, რომ ეს გამოძიება ამ ეტაპისთვის იქნება გამჭვირვალე, გამომდინარე იქიდან, რომ მას აქვს წვდომა ყველა იმ მასალაზე, რომელსაც ის ითხოვს. დღევანდელი შეხვედრა იყო ტექნიკური ხასიათის, მოგვაწოდეს ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენი ადამიანი დაიკითხა, ზოგადად რა ტენდენციები გამოიკვეთა ამ დაკითხულ ადამიანებში, ასევე იმ ტაქტიკასთან დაკავშირებით, რომელიც აირჩია გამოძიებამ.

უკვე იმის შემდეგ რაც ყველა იქნება დაკითხული, გამოიკვეთება კონკრეტული პირების პასუხისმგებლობაც. ამის შემდეგ ძალიან კრიტიკული მომენტი დგება: დადგება თუ არა ამ პირების პასუხისმგებლობა. დღეს რასაც ვხედავთ, პასუხისმგებლობა გადადის რიგით პოლიციელებზე. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს გამოძიება არის მზად იმისთვის, რომ უკვე მაღალი თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის საკითხიც დააყენოს იმიტომ, რომ როგორც დაკითხულების ინფორმაციიდან ჩანს, კონკრეტულ პოლიციელებს ჰქონდათ კონკრეტული ბრძანებები – გამოკითხულთა უმეტესობა ამბობს, რომ ტანს ზემოთ უმიზნებდნენ, რეალურად დაზიანებული ადამიანებიც, ძირითადად, ტანს ზემოთ არიან დაზიანებულები, – განაცხადა ეკა გიგაურმა.

სოსო ცინცაძე: „ივანიშვილი ხაზარაძეს გაურიგდება ნაციონალების წინააღმდეგ“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, როგორ შეაფასებთ ბიძინა ივანიშვილის მიერ 17 ივლისს გაკეთებულ განცხადებებს?

– რამდენიმე მნიშვნელოვანი შეფასება მოვისმინეთ მისი მხრიდან. პირველი, რაც მინდა ვთქვა, როდესაც ჟურნალისტის კითხვას უპასუხა. აქციის დაშლის ბრძანება მან გასცა თუ არა. ჩვენ ვერასდროს ვერ გავიგებთ რეალურად, რა როგორ მოხდა.

მეორე, რაც მე მენიშნა, ეს იყო მამუკა ხაზარაძის პოლიტიკაში შემოსვლის შეფასება.

– „რაც უფრო მეტი ბიზნესმენი, რაც უფრო მეტი ახალგაზრდა შემოვა პოლიტიკაში, ეს კარგია, მივესალმები“ – ასეთი შეფასება ჰქონდა. ეს თქვენთვის მოულოდნელი არ ყოფილა?

– ეტყობა, ხაზარაძემ მოუმზადებელი და მოულოდნელი ნაბიჯი არ გადადგა. მე არ ვამბობ, რომ ხაზარაძეს ივანიშვილთან პირდაპირი კომუნიკაცია ჰქონდა ამ საკითხზე, მაგრამ აშკარაა, რომ ივანიშვილისთვის ხაზარაძის ეს ნაბიჯი მოულოდნელი ნამდვილად არ ყოფილა. მეტიც, მივესალმებიო. მე არ გამოვრიცხავ, რომ ირიბი არხებით ერთგვარი თანხმობა მიიღო კიდეც.

– ივანიშვილმა კოალიციური მთავრობა არ გამორიცხა, თუმცა, ყველასთან თანამშრომლობის მზადყოფნა გამოთქვა გარდა ნაციონალური მოძრაობისა. ეს რაზე მიანიშნებს?

– რა არის კოალიციური მთავრობა – ერთი პიროვნების გემოვნებით აღარ იქნება მთავრობა დაკომპლექტებული. მომავალ მთავრობას თავად ამომრჩეველი დააკომპლექტებს. თუმცა, ეს არის ის სირთულე, რაზეც მთელი ამ ხნის მანძილზე ვსაუბრობდი.

მე მაინც მგონია, რომ ნაციონალურ მოძრაობას მაინც ვერ აუვლიან გვერდს, მით უფრო, თუ „გაერთიანებული ოპოზიციის“ ქოლგის ქვეშ იქნებიან, სადაც შედიან რესპუბლიკელები, ყველაძე ძველი, ბებერი პარტია, ძმები ბერძენიშვილები, რომლებიც ნებისმიერ მთავრობას დაამშვენებდნენ.

კოალიციური მთავრობის ანატომია მდგომარეობს იმაში, რომ მინისტრების პოსტს პარტია მოპოვებული ხმების ადეკვატურად ღებულობს. თუმცა, იშვიათი გამონაკლისებიც არსებობს: მაგალითად საფრანგეთის 1946 წლის არჩევნებში ყველაზე მეტი ხმა კომუნისტებმა მიიღეს და ადგილიც მათ ეკუთვნოდათ, მაგრამ საპირისპირო მოხდა. მაშინ კომუნისტებმა მოითხოვეს საგარეო საქმეთა სამინისტრო, თავდაცვისა და იუსტიციის სამინისტროები, მაგრამ მიიღეს მეორეხარისხოვანი, ნაკლებად მნიშვნელოვანი სამინისტროები. თუმცა, მაშინ გადამწყვეტი სიტყვა დე გოლს ეკუთვნოდა.

2020 წლის არჩევნებზე ოქროს გასაღები ხაზარაძის ხელში იქნება. თუ ხაზარაძე ივანიშვილთან მოილაპარაკებს, მაშინ სწორედ ხაზარაძე და „ოცნება“ მოვლენ უმრავლესობით და ეს ორი ძალა დააკომპლექტებს მთავრობასაც.

– შეიძლება ივანიშვილის შეფასება „მივესალმები“ რევერანსიც იყოს ხაზარაძისადმი?

– რასაკვირველია, ეს შორსმიმავალი სიტყვებია. ხომ იცით, პოლიტიკაში ყველაფერი ხდება და ყველაფერია მოსალოდნელი.

– მათ შორის ივანიშვილ-ხაზარაძის დაზავებაც?

– რასაკვირველია, ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ! ივანიშვილი ფიქრობს, ღმერთმა ნუ ქნას და უმცირესობაში თუ აღმოვჩნდი, მაშინ მაშველი რგოლი ხაზარაძე იქნება.

ივანიშვილმა უკვე კარგად იცის, რომ ვეღარ გააგრძელებს იმ პოლიტიკას, რაც აქამდე კარგად მუშაობდა, ნაციონალების მოსვლის შიშით „ოცნების“ მხარდაჭერის იძულებას ვგულისხმობ.

ამიტომ, ის უკვე ეძებს რეალურ პოლიტიკურ პარტნიორს და მე არ გამოვრიცხავ, რომ ეს რეალური პარტნიორი სწორედ მამუკა ხაზარაძე იყოს.

თუმცა, აქ მთავარი საკითხი არის საარჩევნო სიები. სიები იქნება დახურული თუ ღია. ეს თითქოს დეტალია, მაგრამ ეს სწორედ ის დეტალია, სადაც ეშმაკია დამალული. მხოლოდ ხუთ ქვეყანაშია დაფარული სიები, დანარჩენ ქვეყნებში სია ღიაა.

– უფრო კონკრეტულად რომ გვითხრათ?

– ერთ შემთხვევაში პარტიის სიითი შემადგენლობა ამომრჩეველისთვის ცნობილია, ღიაა. მეორე შემთხვევაში დაფარულია.

შეიძლება შენ პარტიას აძლევ ხმას, მოგწონდეს ესა თუ ის პარტია, მაგრამ არ მოგწონდეს მისი 1, 2, 3, 4, ნომერი და ა.შ. მთელი ეშხი იმაშია, რომ პარტიები ადგილებს ვეღარ გაყიდიან. ჩვენ ხომ ვიცით პარტიები, რომლებსაც „სტავკები“ აქვთ და რომლებიც ადგილებს ყიდიან.

დღეის მონაცემებით, როგორც მე მითხრეს, გამსვლელ სიაში ჩასმა 200 ათასი ღირს, ვარაუდობენ, რომ ნახევარ მილიონამდე ავა. თუ კარგად მოიკითხავთ ამ ინფორმაციას, დაგიდასტურებენ.

დახურული სიების შემთხვევაში ამომრჩეველი პარტიას აძლევს ხმას და არ იცის, ვინ არის პირველ, მე-2 თუ 28-ე ადგილზე. ბრმად აძლევ პარტიას ხმას. უკვე გამოიკვეთა, რომ აბსოლუტური უმრავლესობა ღია სიების წინააღმდეგია.

– პროპორციული არჩევნები რამდენად რეალობაა?

– თუ ამ პოლიტიკურ დაპირებაზე, რომლითაც კრიზისი განმუხტა ივანიშვილმა, უარს იტყვის, მაშინ მას ეს ბუმერანგივით მოუბრუნდება და მერე უკვე ვერაფერი უშველის. თუმცა, მე არც იმას არ გამოვრიცხავ, რომ მაჟორიტარებმა, რომლებსაც თავიანთი წონა ფული აქვთ გადახდილი იმ სკამებში, რომელზეც სხედან, მართლაც შიდა ბუნტი მოაწყონ. ხომ გახსოვთ ერთ-ერთი მაჟორიტარის დემარში.

– ოქრიაშვილს გულისხმობთ?

– დიახ. ასეთი ოქრიაშვილი შეიძლება 70-ივე აღმოჩნდეს. მე არც ამას გამოვრიცხავ, შიგნით აყირავდეს ვითარება.

– ბევრი ამბობს, რომ მმართველმა პარტიამ წინასაარჩევნო კამპანია დაიწყო.

– არა, წინასაარჩევნო კამპანია არ დაწყებულა. ამ საკონსტიტუციო ცვლილების შემდეგ დაიწყებენ, რომელიც საშემოდგომო სესიაზე გავა თუ, რასაკვირველია, ყველაფერი გეგმის მიხედვით წავიდა.

ნანა დევდარიანი: „ნულოვანი ბარიერით „ოცნებაც“ აგებს და ნაცმოძრაობაც“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს გლობალური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი, ცესკოს ყოფილი თავმჯდომარე ნანა დევდარიანი პასუხობს.

– ქალბატონო ნანა, 2020 წელს არჩევნები პროპორციული სისტემით ჩატარდება. ოპოზიცია ამას საკუთარ მონაპოვრად მიიჩნევს. როგორც ცესკოს ყოფილი თავმჯდომარე, როგორ შეაფასებთ პროპორციული სისტემის სიკეთეებსა და ხარვეზებს?

– რამდენად არის ეს ოპოზიციის გამარჯვება, ამაზე კამათი შეიძლება. იმიტომ, რომ დიდი ხანი ითხოვდნენ და მხოლოდ ახლა მოხდა ამ ნების გაცხადება, თანაც ნულოვანი ბარიერით. ბარიერის პირობებში პროპორციული არჩევნები და ნულოვანი ბარიერის დროს არის პრინციპულად განსხვავებული.

– ორივე ვარიანტი განვიხილოთ.

– უბრალოდ პროპორციული არჩევნები ნაციონალურ მოძრაობას და მის განაყოფს ძლიან აწყობს. იმიტომ, რომ როგორც პარტია, მოიპოვებს გარკვეულ რაოდენობას მანდატების და ამას დაემატება ბარიერგადაულახავი პარტიების მიერ მიღებული პროცენტი. ის ხმები ხომ იკარგება და ეს დაკარგული ხმები, მერე პროპორციულად ნაწილდება გამარჯვებულ პარტიებზე.

– ნულოვანის შემთხვევაში რა ხდება?

– ნულოვანი ბარიერის პირობებში, არაფერი დაემატება ნაციონალურ მოძრაობას და არც „ქართულ ოცნებას“. ყველა, ვინც 0.7%-მდე მიიღებს ამომრჩევლის ხმებს, მიიღებს ერთ მანდატს. ამით იყო ეს ისტერიკა განპირობებული, სააკაშვილი რომ გაგიჟდა ნულოვან ბარიერზე. იმიტომ, რომ ისინი დაკარგავენ და ვერ დაიმატებენ.

სამაგიეროდ, სხვა პარტიებს, შედარებით მცირე პარტიებს, ეძლევათ შანსი, რომ ჰყავდეთ წარმომადგენლობა. ეს ნიშნავს იმას, რომ საზოგადოებაში როგორი მრავალფეროვნებაც არის, დაახლოებით ისეთივე იქნება პარლამენტში და ეს მხოლოდ დადებითია.

– ოპოზიციის ერთი ნაწილი სწორედ ამაზე ვაჭრობს, რომ არ იყოს ნულოვანი ბარიერი.

– უკვე ამით ვხვდებით მათ მოტივაციას. ეს მათთვის წამგებიანია.

– რამდენად ჭრელი პარლამენტი გვეყოლება? კახა კალაძე აცხადებს, რომ მათ აქვთ ამბიცია, რომ კვლავ ჰყავდეთ უმრავლესობა ახალ პარლამენტში. ეს შესაძლებელია?

– ყველა რესურსის გათვალისწინებით, ამის შესაძლებლობა აქვთ. თუ დაუკვირდებით, მას არ უთქვამს საკონსტიტუციო უმრავლესობა, რომელიც ბოლო არჩევნებით ჰქონდათ. საუბარია უბრალო უმრავლესობაზე, მაქსიმუმ 50%-ზე. დანარჩენი 50% გადანაწილდება სხვადასხვა პარტიებზე.

– შეძლებს „ოცნება“ ამდენის აღებას?

– მოდით, უფრო ღრმად ჩავიხედოთ. თუ 30%-ს აიღებს „ქართული ოცნება“ და დანარჩენ 70%-ს გაინაწილებს ბევრი პარტია, ის მაინც უმრავლესობაა. საპარლამენტო უმრავლესობაა 50%-ს პლიუს ერთი, მაგრამ მაინც უმრავლესობაა, როცა ერთ პარტიას ექნება სხვებზე მეტი.

როგორც ჩანს, ისინი ამას ანგარიშობენ, რადგან უკვე კოალიციური მთავრობის ვარიანტებზე დაიწყო საუბარი, რომ ვისთან შევა კოალიციაში „ქართული ოცნება“.

ის, რომ სხვა პარტიებთან თანამშრომლობა მოუწევთ, ეს უდავოა და ეს ძალიან კარგია, რადგან არც ერთ მონოპოლისტურ პოლიტიკურ ძალას კარგად არ დაუმთავრებია საქართველოს უახლეს ისტორიაში და ეს ყველას კარგად გვახსოვს.

– ანუ „ოცნებას“ აქვს იმის იმედი, რომ წვრილ-წვრილ პარტიებთან, ვინც აღმოჩნდება პარლამენტში, შეძლებს მოლაპარაკებას და მათთან ერთად ალიანსში შესვლას?

– რა თქმა უნდა. სხვანაირად ვერ შექმნის უმრავლესობას. როდესაც საუბრობს კოალიციურ მთავრობაზე, სწორედ ოპოზიციური პარტიების იმედი აქვს. თუმცა ვისთან აპირებს თანამშრომლობას, ეს მერე გამოჩნდება.

მთავარია, როგორ ჩატარდება არჩევნები, რამდენად სამართლიანი იქნება და ამომრჩეველს რამდენად ექნება ნდობა ამ არჩეული პარლამენტის მიმართ.

– ამ სიტუაციაში, თანაც პროპორციულის პირობებში, უფრო ნაკლები იქნება გაყალბების შანსი?

– თუ მოინდომებენ, გაყალბებას ყველა სიტუაციაში მოახერხებენ. მე შეგახსენებთ ანეკდოტურ სიტუაციას 2003 წლის არჩევნების შემდეგ. რევოლუციის შემდეგ სასამართლოში დაისვა საკითხი იმაზე, რომ პროპორციული არჩევნები გაყალბდა და მაჟორიტარული არ გაყალბებულა.

ეს აბსოლუტურად გამორიცხულია. ერთ დღეს ჩატარებული არჩევნები, ერთი კონვერტი, სამი ბიულეტენი: პროპორციული, მაჟორიტარული და რეფერენდუმი. ორი ჩატარდა გადასარევად და ერთი გაყალბდა?!

ეს უკვე გემოვნების საკითხია. პროპორციულზეც იტყვიან, გაყალბდაო, თუ არ იქნება მათი სურვილების შესაბამისი.

– ბევრი ოპოზიციური პარტია შევა პარლამენტში?

– ბოლო გამოკითხვებს თუ გადავხედავთ, 2-3% საკმაოდ ბევრ ოპოზიციურ პარტიას აქვს, ასე რომ...

– რატომ ნულოვანი და არა 2 ან 3%-იანი ბარიერი? მით უმეტესმ აცხადებთ, რომ ეს მომგებიანი არ არის „ოცნებისთვის“.

– დიახ, „ოცნებას“ ამ შემთხვევაში თავისთვის მომგებიანი ნაბიჯი არ გადაუდგამს. როგორც ნაციონალები კარგავენ იმ გადაუნაწილებელი მანდატების რაოდენობას, ისევე კარგავს „ოცნება“, მაგრამ მაინც წავიდა ამაზე. იყო მოთხოვნა პროპორციულ არჩევნებზე, კი ბატონო, იყოსო, მაგრამ იყოს ნულოვანი ბარიერი. ამით გააწონასწორეს.

– ხომ არ შეეშინდა „ოცნებას“, რომ ნაციონალები უპირატესობას მოიპოვებდნენ, რომ ყოფილიყო თუნდაც 2 ან 3%-იანი ბარიერი?

– არა, მაგის შიში არ მგონია ყოფილიყო. რაც დრო გადის, ნაციონალების მხარდაჭერა სულ უფრო უფრო კლებულობს.

– ბოლო კვლევებმა აჩვენა, რომ ნაციონალებსა და „ქართულ ოცნებას“ შორის მხოლოდ 4%-იანი სხვაობაა.

– აი, ეს 4%-იანი სხვაობა ნულოვანი ბარიერის პირობებში რამდენ პროცენტზე დაჯდება, მეც ვნახავ და დანარჩენი საზოგადოებაც.

– როგორია თქვენი პროგნოზები და მოლოდინი?

– ანალოგიური პროცესები ვითარდება ნაციონალების მხრიდან, როგორც 2001-დან 2003 წლამდე. ყველანაირ პროვოკაციაზე წასვლა, იმაში ხალხის დარწმუნება, რომ ხელისუფლებას არაფერი შეუძლია და ერთი პატარა შეჯანჯღარება უნდა, რომ დაამხონ.

მერე იძახიან, მშვიდობიანად გვინდოდა პარლამენტში შესვლაო. პარლამენტში შეჭრას ერთი დანიშნულება აქვს და ყველას გვახსოვს, ეს 2003 წელს რით დამთავრდა. ახლა სწორედ ამის ნიადაგს ამზადებენ 2020-ისთვის, რომ ხელისუფლებამ ვერ გაბედოს ვერაფერი.

– ვადამდელი აღარ იქნება?

– არა, რაღა დროს ვადამდელია, ის კი არა და ქუცნაშვილის მანდატზეც ვეღარ ჩატარდება არჩევნები. აღარც აზრი აქვს და ვერც მოესწრება. დრო არ არის.

მე მაქვს მოლოდინი, რომ უკეთესი პარლამენტი გვექნება. მთავარი მიზანი მრავალპარტიული პარლამენტის არის ის, რომ საზოგადოებაში ბევრი უკმაყოფილება გაჩნდა და ამომრჩეველს ექნება საშუალება, რომ მას, ვისაც არც ხელისუფლება მოსწონს და არც ნაციონალური მოძრაობა, ექნება საშუალება, მისი აზრის გამომხატველი პარტია აირჩიოს.

– და ამ ფონზე ჩნდება მამუკა ხაზარაძეც.

– თუ იპოვით ისეთ ადამიანს, ვინც მე მეტყვის, ვინ დაუჭერს ბანკირებს მხარს ამ გაუბედურებულ ქვეყანაში, სადაც ბანკებმა დააქციეს ოჯახები და უსახლკაროდ დატოვეს, კი ბატონო.

თუ უბრალოდ საზოგადოებრივი ტრიბუნა უნდა და განცხადებების კეთება, ეს ისედაც შეუძლია, მაგ მოძრაობის დაფუძნების გარეშე.

რას ნიშნავს ლავროვის განცხადება საქართველოს შესახებ?

საქართველოში იზრდება პუტინიზმის გავრცელების საშიშროება

მარიამ მჭედლიშვილი

რუსეთის ფედერაციის ხელისუფლება, რომელიც საქართველოს, ფაქტობრივად, სახელმწიფოდ არ აღიარებს, სანქციების გაუქმების პირობებს ასახელებს.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი აღნიშნავს, რომ პირდაპირი ავიამიმოსვლის აღდგენა შესაძლებელია მაშინ, როცა რუსეთის მოქალაქეებისთვის საქართველოში საფრთხე აღარ იარსებებს.

სინამდვილეში, რუსეთის ტურისტებს, რომლებიც სანქციების დაწესებამდე საქართველოში მრავლად იმყოფებოდნენ, არავინ დამუქრებია.

– იმედი გვაქვს, რომ საქართველოს ხელისუფლება შეძლებს ქვეყანაში საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სტაბილიზაციას და მოხსნის საფრთხეს რუსეთის მოქალაქეების უსაფრთხოებისათვის. არ შეიძლება არ გვაღელვებდეს საქართველოს რადიკალურად განწყობილი პოლიტელიტის მხრიდან რუსოფობიური განწყობებისა და ჩვენი ხალხების წაჩხუბების მცდელობა, – აცხადებს ლავროვი.

ამასთან, იგი კმაყოფილებით მიუთითებს, რომ „საქართველოს ხელისუფლებამ დაგმო ერთ-ერთი ტელევიზიის სამარცხვინო გამოხდომა, სადაც შეურაცხყოფა მიაყენეს რუსეთის პრეზიდენტს.“ ამან, მინისტრის თქმით, გამოიწვია აღშფოთება თვითონ საქართველოს საზოგადოებაში.

– დარწმუნებული ვარ, ყველაფერი თავის ადგილას დადგება და ჩვენს სახელმწიფოებს შორის აღდგება კეთილმეზობლური ურთიერთობები, – ამბობს ლავროვი.

საგარეო მინისტრის განცხადება ადასტურებს, რომ კრემლს საქართველოში რუსეთის მიმართ საპარლამენტო არჩევნების შემდგომაც ლოიალური ხელისუფლების იმედი აქვს.

რუსეთიდან განსაკუთრებული თავდასხმებია პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილზე. კრემლის ექსპერტებისთვის მიუღებელია, რომ მან ბოლო დროს რუსეთს რამდენჯერმე უწოდა აგრესორი და ოკუპანტი.

დასავლელი ანალიტიკოსების სიტყვებით, მოსკოვი აქტიურად ავრცელებს თავის იდეოლოგიას მეზობელ ქვეყნებსა და ევროპაში. აშშ-ის ყოფილი ელჩი რუსეთში მაიკლ მაკფოლი, რომელსაც პუტინი ვერ იტანს, ამ იდეოლოგიას პუტინიზმს უწოდებს.

მისი განმარტებით, პუტინი არალიბერალური ინტერნაციონალის მეთაურია. ლიბერალურ დასავლეთსა და კონსერვატორული ღირებულებების პუტინისეულ ვერსიას შორის ბრძოლა დაახლოებით ათი წელიწადია, მიმდინარეობს.

ერთ მხარესაა დემოკრატია, თავისუფალი ბაზარი, უფლებების პატივისცემა. მეორე მხარეს – ავტოკრატია, კორუფცია, სახელმწიფოს ჭარბი ჩარევა ეკონომიკაში, უფლებებისა და საერთაშორისო ნორმების უგულებელყოფა.

ამერიკელი დიპლომატის თქმით, პუტინიზმის ექსპორტისთვის გამოიყენება რუსეთის სპეცსამსახურები, პრორუსული მედია, პოლიტიკოსები. მოქმედებს ტროლებისა და ბოტების არმია. ისინი ავრცელებენ რუსულ პროპაგანდას, დეზინფორმაციას, ხლეჩენ საზოგადოებას.

სხვა ქვეყნებში პუტინიზმის დანერგვის იარაღად გამოიყენება რუსული კომპანიები, განსაკუთრებით, გაზისა და ნავთობის კომპანიები.

მაკფოლი გამოსავალს რუსეთის შეკავების პოლიტიკის გაძლიერებაში ხედავს. ამისათვის მას საჭიროდ მიაჩნია რუსეთისთვის მოქმედი სანქციების გაგრძელება, ახლების დამატება, ნატოს გაძლიერება.

ამერიკელი დიპლომატის შეფასებით, პუტინი ნატოსთან დამარცხდა. ამის მიზეზი გახდა ყირიმის მიერთება და აღმოსავლეთ უკრაინაში ოპერაციების ჩატარება. მანამდე რუსეთი და ნატო გარკვეულ ფარგლებში ერთმანეთთან თანამშრომლობდნენ. მისი ინფორმაციით, კრემლი ხშირად ნატოზე პანიკას ტეხდა საქართველოსა და უკრაინის გამო ისეთ დროს, როცა მათი ალიანსში მიღება დღის წესრიგში არ იდგა.

მაკფოლი აცხადებს, რომ პუტინს ევრაზიული ეკონომიკური კავშირის იდეა ჩაუფლავდა. ეს მიზანი პუტინს 2012 წელს ჰქონდა. იგი გეგმავდა ევრაზიულ კავშირში ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების შეყვანას, მაგრამ უკრაინაში აგრესიული მოქმედებების შემდეგ ამ გეგმას წერტილი დაესვა. სამაგიეროდ, გაძლიერდა პუტინიზმი და მისი ექსპორტი.

შესაძლოა, პუტინი საქართველოს თავისი ოკუპირებული ტერიტორიებით ევრაზიულ კავშირში აღარ ითრევს, მაგრამ საქართველოზე ხელის აღებას არ აპირებს. მით უმეტეს, რომ რუსეთთან მჭიდრო ეკონომიკურ თანამშრომლობას საქართველოში არც ისე ცოტა მომხრე ჰყავს.

რუსეთი იმდენადაა შემოსული საქართველოში, რომ თავისი იდეოლოგიის გასავრცელებლად ტროლები და ბოტები მხოლოდ დამატებით ინსტრუმენტებად თუ დასჭირდება.

„რუსეთი ყოველთვის ეცდება, თავში ჩაგვარტყას. ჩვენი ასარჩევია, თავს მივუშვერთ, თუ თავს დავიცავთ“

პაატა დავითაია: „აფხაზეთი მხოლოდ სადღეგრძელოებში გვახსოვს“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ გველაპარაკება რუსეთი შანტაჟის ენით, რაშია ქართველი ხალხი დამნაშავე და რა იქნება ოკუპანტი სახელმწიფოს მორიგი ნაბიჯი, რა ღირს პარლამენტის თავმჯდომარის სკამი? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ „ევროპელი დემოკრატების“ ლიდერი პაატა დავითაია ესაუბრება.

– რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი გამოდის და რაღაც პირობებს გვიყენებს იმისთვის, რომ მოსკოვმა სანქციები გააუქმოს. ამასთან დაკავშირებით რას ფიქრობთ?

– საერთოდ არ მიკვირს, სერგეი ლავროვი ამ მოთხოვნებს რომ აყენებს. როდის უყენებს ერთი სახელმწიფო მეორეს პირობებს? მაშინ, როცა მასზე კონტროლის მექანიზმები გააჩნია.

გავიხსენოთ 2008 წლის აგვისტოს ომი და ამ ომის თანმდევი პროპაგანდა, რომელიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით გაიშალა. მთელი მსოფლიო იმეორებდა, რომ რუსეთი ოკუპანტი და დამპყრობელია.

იმ დროს ლავროვი რომ გამოსულიყო და მოეთხოვა, ქართულმა მედიამ შეწყვიტოს მოსკოვის ლანძღვაო, ეს ხომ სასაცილოდ არ გვეყოფოდა. ახლა ეს მოთხოვნა უკვე სასაცილო აღარ არის. 2008 წლისგან განსხვავებით, დღეს საქართველო რუსეთზეა დამოკიდებული.

მოვიდა თუ არა ხელისუფლებაში „ოცნება“, ეგრევე დაიწყო ჩვენი ეკონომიკის რუსეთზე მიბმა. მოსკოვთან რბილი პოლიტიკა აირჩიეს – შემოიყვანეს რუსი ინვესტორები და ტურისტები. იმათაც გაგვიხსნეს ღვინისთვის რუსული ბაზარი, სანაცვლოდ აქ როსნეფტი შემოიყვანეს.

მიება ქართული ეკონომიკა რუსეთზე და ახლა გვეუბნებიან, რომ მორჩა, ჩვენგან ფულს ვეღარ გააკეთებთ თუ სანაცვლოდ ამას და ამას არ იზამთ. როგორც კი „ოცნებამ“ რბილ პოლიტიკას მიმართა, მაშინვე ვამბობდი, რომ ამას რუსების მხრიდან შანტაჟი მოჰყვებოდა, რუსი დაგვარტყამდა, როცა მოისურვებდა, მაგრამ არავინ არ დამიჯერა.

ახლა დაგვიანებულია იმაზე წუხილი, თუ როგორ გაგვიბედა კრემლის წარმომადგენელმა ასეთი რამე. როგორ გაგვიბედა და ძალიან კარგად, ის თავისი სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს.

კიდევ ერთხელ ვამბობ, წლების წინ ლავროვის ასეთი განცხადებები სასაცილო იქნებოდა, მაგრამ ახლა სასაცილოდ აღარ გვაქვს საქმე.

– სასაცილო არც პუტინის განცხადება ყოფილა, ისტორია რომ გადაგვახია თავზე და გენოციდის მომწყობი ოკუპანტები გვეძახა, მაგრამ მაინც ვიღლიცინეთ. თქვენი აზრით, რატომ გადაგვიწერა ისტორია, ეს იმას ხომ არ ემსახურება, ჰააგის ტრიბუნალის დახმარებით გენოციდის მომწყობებად რომ გამოგვაცხადოს?

– არა, აქ ჰააგაზე არ არის საუბარი, სხვა რამესთან გვაქვს საქმე. რუსეთი უკვე წლებია მუშაობს, რომ შექმნას ახალი სახელმწიფოები – ჯერ აფხაზეთი და ცხინვალი, მერე ყირიმი.

მერე მოხდა ისტორიის გადაწერა, აფხაზეთსა და ცხინვალში რამდენიმე ახალი თაობა გაიზარდა, რომელმაც გადაწერილი ისტორია ისწავლა. რამდენიმე დღის წინ პუტინმა ოფიციალურად შეგვიცვალა ისტორია, ჩვენ კი ვღლიცინობთ, მაგრამ სინამდვილეში მძიმედ არის საქმე.

საერთაშორისო ორგანიზაციები განიხილავენ თემას – არათანაცხოვრების პრინციპს. ამბობენ, ქართველები და აფხაზები, ქართველები და ოსები ვერ ცხოვრობენ ერთად. არადა ასე არ არის – თბილისში 20.000 ოსი ცხოვრობს, ცხინვალში – 8.000. მე მეუღლე მყავს აფხაზი და თანაცხოვრებაში არანაირი პრობლემა არ გვაქვს.

ჩვენ კი ვიცით, რომ თანაცხოვრება არ გვიჭირს, მაგრამ საერთაშორისო დონეზე ამას ვეღარ დავამტკიცებთ. მათ იციან, რომ ქართველები ოსებთან და აფხაზებთან ვერ თანაცხოვრობენ.

ქართველების გენოციდი და ეთნოწმენდაც დაავიწყდა ყველას. სამაგიეროდ უყურებენ, რომ ამ რეგიონებში არჩევნები რამდენჯერმე ჩატარდა, სადაც ზოგჯერ ოპოზიციამ გაიმარჯვა. საერთაშორისო ორგანიზაციები ფიქრობენ, ოპოზიციამ თუ გაიმარჯვა, ეს რესპუბლიკებიც ვითარდებიან.

ამ ფონზე რუსეთის პრეზიდენტი გვიცვლის ისტორიას, რასაც მოსკოვის მხრიდან ერთი ძალიან სერიოზული ნაბიჯი მოჰყვება. ეს არის ანექსია. კრემლი აფხაზეთს და ცხინვალს მიიერთებს. როგორც ეს ყირიმის შემთხვევაში მოხდა.

ცხინვალში ეს საკითხი პრობლემას არ წარმოადგენს, ოსები თანახმა არიან. აფხაზები ჯიუტობენ ცოტა, მაგრამ მათაც მოუვლიან.

– როგორ მოუვლიან?

– როგორც იციან ხოლმე. ნელ-ნელა სპობენ აფხაზურ ენას, აფხაზურ ეთნოსს. აფხაზები აფხაზეთიდან გარბიან. აფხაზეთში ისედაც ცოტა აფხაზია. დარჩენილები იძულებული იქნებიან, შევიდნენ რუსეთში. ასე რომ, რუსეთის შემდეგი ნაბიჯი ამ ტერიტორიების ანექსია იქნება.

– რასაც ჩვენი ხელისუფლება ალბათ არც გააპროტესტებს.

– ჩვენი ხელისუფლება არაფრისმაქნისი არ არის, მაგრამ რაც ახლა ხდება, ეს მარტო მათი ბრალი არ არის. პირველ რიგში, ეს ხალხის ბრალია. ჩვენ დაკარგულ აფხაზეთსა და ცხინვალზე მხოლოდ სადღეგრძელოებში ვლაპარაკობთ, მერე ჩავდივართ მოსკოვში. ვეხუტებით, ვკოცნით რუსებს. თავადაც არ ვიცით, რა გვინდა.

რას აკეთებს აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება. როდესაც პრეზიდენტის რეზიდენციაში სიტყვით გამოდიოდა გავრილოვი, უკრაინის ელჩმა პროტესტის ნიშნად შეხვედრა დატოვა. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ჯემალ გამახარია კი გვერდით ეჯდა.

მან ხმა იმიტომ არ ამოიღო, რომ იცის, ხალხს ამაზე რეაქცია არ ექნებოდა. ხალხი ყველაფერზე სათანადოდ რომ რეაგირებდეს, ლავროვის განცხადების შემდეგ აქციები უნდა გამართულიყო.

ამ ხელისუფლების ოპონენტი ვარ, მაგრამ ეს ობიექტურობას არ მაკარგვინებს. ამიტომაც ვამბობ, რომ რაც ხდება, ეს, პირველ რიგში, ხალხის ბრალია.

– ჩვენც დამნაშავეები ვართ, წინააღმდეგ შემთხვევაში მშვიდად არ გავატარებდით ქუცნაშვილის განცხადებას, რომელმაც გვითხრა, სპიკერის სკამი წმინდა ადგილი არაა, იქ გავრილოვი რომ არ დამჯდარიყოო. თქვენ, როგორც პარლამენტის ყოფილი წევრი და იურისტი, რას გვეტყვით? პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელი საერთოდ არაფერს ნიშნავს?

– მოდი, ასე ვთქვათ, სპიკერის სკამი არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენს, რადგანაც ის მაქსიმუმ ღირს 500 ლარი. ეს სკამი შეიძლება ჰუალინგის შენობაშიც დავდგათ და თბილისი მარიოტშიც, მაგრამ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სკამის პოლიტიკური ფასი ქვეყნის სუვერენიტეტი გახლავთ.

როცა ქვეყნის დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტში მოგისაქმებენ, მაგას ფასი დიდი აქვს. სხვა მხრივ არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, 500 ლარიან სკამზე დაჯდება გავრილოვი თუ – 1000 ლარიანზე.

სუვერენიტეტში მოსაქმებას ვერ გაგვიბედავდნენ, თავიდანვე სათანადო სიმაღლეზე რომ ვყოფილიყავით. მხოლოდ მას შემდეგ გამოფხიზლდნენ ადამიანები, რაც ვიზუალურად ნახეს, რომ იმ ადგილზე რუსი კომუნისტი იჯდა, საიდანაც ქვეყნის დამოუკიდებლობა გამოცხადდა.

ესაა ჩვენი პრობლემა, რომ სანამ საკუთარი თვალით არ დავინახავთ, არ ვრეაგირებთ. არ ვრეაგირებთ იმ პროცესებზე, რაც ახლა აფხაზეთში მიდის. არადა იქ საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი ამბები ხდება. აფხაზეთის სათავეში შესაძლოა მოვიდეს პროაფხაზური პირი, რომელიც პირდაპირ ჩვენს ინტერესებში ჯდება.

– ვინ არის ეს პროაფხაზური პიროვნება?

– კვიკინია. მკითხველისთვის მარტივად რომ ავხსნა, ეს ადამიანი არის ანქვაბის გუნდის წარმომადგენელი. მისი გამარჯვების შემთხვევაში ჩათვალეთ, რომ ანქვაბი მოვა აფხაზეთის სათავეში. ოფიციალური პრეზიდენტი კვიკვინია იქნება.

– ჩვენსავით მათაც არაფორმალური მმართველი ეყოლებათ?

– ასე გამოდის. ანქვაბი გახლავთ პროაფხაზური ორიენტაციის ადამიანი. მისი გამარჯვება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. სამწუხაროდ, ეს საქართველოში არავის აინტერესებს. არც ამ მიმართულებით მუშაობს ვინმე.

– სამწუხაროდ, აფხაზეთი აღარც კი ახსოვთ.

– სუფრაზე იხსენებენ ხოლმე. ამ დროს აფხაზეთი თავისთვის ვითარდება და ნელ-ნელა წყდება საქართველოს. სამწუხაროდ, არაფერს არ აკეთებს აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება. აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში საქმის კეთებაც კი არ შეუძლიათ. მათ მოინდომეს, რომ დეპუტატები დაეზღვიათ, მაგრამ ყველა სადაზღვევომ უარი უთხრა.

– რატომ უთხრა უარი?

– ისეთი ასაკოვნები არიან, რომ არავინ მოინდომა მათი დაზღვევა.

– ვთანხმდებით, რომ ხალხი არაფერზე არ ვრეაგირებთ, რუსეთი მოთხოვნას მოთხოვნაზე აყენებს. შემდეგი მათი მოთხოვნა რა იქნება, თბილისის თავზე რუსული დროშის აფრიალება?

– მეტი საქმე არა აქვს მოსკოვს, რამე მოგვთხოვოს. მოახდენს აფხაზეთის და ცხინვალის ანექსიას და საქართველოზე მაქსიმალურ კონტროლს დაამყარებს.

ბოლო წლებში ჩვენ ორი სხვადასხვა პოლიტიკა ვნახეთ რუსეთის მიმართ. ერთი იყო აგრესიული პოლიტიკა, რომელმაც ტერიტორიები დაგვაკარგვინა, მაგრამ ამის მიუხედავად, მკაცრად დაიცვა სუვერენიტეტი და თვითმყოფადობა.

მეორე იყო დათმობა რუსეთის ფედერაციასთან, რომლის დროსაც მცოცავი ანექსიის გზით ისევ ვკარგავთ ტერიტორიებს და თან გვაშანტაჟებენ.

რუსეთი ყოველთვის ეცდება, თავში ჩაგვარტყას. გააჩნია, როგორ დავხვდებით. ჩვენი ასარჩევია, თავს მივუშვერთ, თუ თავს დავიცავთ.

„მეტრა დეველოპმენტი ტერიტორიაზე სამხარაულის ექსპერტიზას არ უშვებს და მოსახლეობა და მერია შეცდომაში შეჰყავს“

2 წელზე მეტია, რაც მეტრა პარკის მობინადრეები მათივე დეველოპერის ქმედებას, რომ დაბალსართულიანი კომპლექსის უშუალოდ მომიჯნავედ, საფრთხის შემცველ და გარემოს დამაზიანებელ პირობებში ააშენოს სამი მრავალსართულიანი კორპუსი, აპროტესტებენ და სასამართლოსა თუ მერიაში ასაჩივრებენ.

მობინადრეები აცხადებენ, რომ სულ ახლახან „მეტრა დეველოპმენტმა“ სააპელაციო ინსტანციის ძალით (მოულოდნელად შეცვლილი მოსამართლის გადაწყვეტილების მეშვეობით, რომელიც, თურმე 3 კვირაში გაეცნო 600 გვერდიან საქმეს) გააუქმა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება – სამიდან ერთ-ერთ კორპუსზე გაცემული მშენებლობის ნებართვის შეჩერება და შემდგომ ეს ფაქტი მედიის მეშვეობით გამოაცხადა, როგორც თავისივე მობინადრეებზე საბოლოო გამარჯვება. არადა, საქმის რეალური ვითარება ის არის, რომ სარჩელის არსებით განხილვა ჯერ არც კი დაწყებულა. „მეტრა დეველოპმენტი“ ცდილობს სასწრაფოდ დაიწყოს სამშენებლო პროცესი, რომ არსებითი განხილვის დროს უკვე გარკვეულ დონეზე აგებული კონსტრუქციით შეხვდეს და იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მობინადრეების სარჩელს დააკმაყოფილებს, კონსტრუქციის დემონტაჟი გახდეს საჭირო, რაც თავის მხრივ კიდევ ახალი თავის ტკივილი იქნება როგორც მობინადრეებისთვის, ისე მერიისთვის.

„მეტრა პარკის“ მობინადრეების უკიდურეს აღშფოთებას იწვევს ის ფაქტიც, რომ კომპანიამ ლ. სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთვის მათ მიერ დაკვეთილი საინჟინრო ექსპერტიზის წარმომადგენლები უბრალოდ არ დაუშვა ტერიტორიაზე და განაცხადა, რომ მხოლოდ შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილების შემდეგ დაუშვებდა მათ ექსპერტიზის განსახორციელებლად. მობინადრეები დარწმუნებულები არიან, რომ კომპანიამ ეს დროის მაქსიმალურად მოგების მიზნით გააკეთა, რამდენადაც თავად ყველაზე კარგად იცის, რომ არსებულ ლანდშაფტში, ობიექტურად ჩატარებული საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნა მისთვის ძალიან მძიმე შედეგების მომტანი იქნება. ამიტომ ცდილობს, რომ როგორმე, ექსპერტიზა თუ სასამართლო დავის არსებითი განხილვა, ამ მომენტებს უკვე დაწყებული სამუშაოებით შეხვდეს.

მობინადრეები მიიჩნევენ, რომ სამწუხაროდ, კომპანია, დღემდე ამას გაჭირვებით, მაგრამ მაინც ახერხებს. მათი აზრით, ამ „მოხერხებაში“, შესაძლოა შემდგომში დანაშაულებრივი ფაქტებიც გამოვლინდეს, რამდენადაც მერიის სამსახურების ყველა გადაწყვეტილება დღემდე, მიუხედავად მობინადრეების წონადი არგუმენტებისა, კომპანიის უსამართლო ინტერესების სასარგებლოდ გამოდის.

კიდევ ერთ ფაქტზე ამახვილებენ ყურადღებას მობინადრეები და ამას დეველოპერის მხრიდან ერთგვარ ვირეშმაკობასაც უწოდებენ. საქმე ის არის, რომ ყველა შესაძლო შემთხვევაში, როცა „მეტრა დეველოპმენტი“ საჯარო განცხადებას აკეთებს, ის ცდილობს ხაზი გაუსვას, რომ მის ინტერესებს ებრძვის მხოლოდ რამდენიმე მობინადრე და საერთოდ „ივიწყებს“, იმ ფაქტს, რომ თბილისის მერის სახელზე გავრცელებულ ღია წერილს, სადაც მობინადრეები საკუთარ პრობლემასთან ერთად დეტალურად აღწერენ დეველოპერის მხრიდან დედაქალაქის განვითარებისთვის შეუსაბამო ქცევებს და განზრახვებს, 50-ზე მეტი ხელისმომწერი მობინადრე ჰყავს. მობინდრეების აღნიშნული ხუთეული კი მობინადრეების დიდი ჯგუფის ერთგვარ წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ახორციელებს.

„ასე რომ, „მეტრა დეველოპმენტის“ სამწუხაროდ და თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის საყურადღებოდ, გვინდა ვთქვათ, რომ იმ შემთხვევაში, თუ მერია დაუშვებს კიდევ ორი მრავალსართულიანი კორპუსის აშენებაზე ნებართვის გაცემას, ამას მივიღებთ, როგორც დაცინვას, შეურაცხყოფას, იგნორირებას, სასამართლოს მიმდინარეობის ფაქტის უგულებელყოფას და ყველა კანონიერი საშუალებით კიდევ უფრო მწვავედ განვაგრძობთ პროტესტს და საკუთარი უფლებების დაცვას“ – აცხადებენ მობინადრეები.

კომერსანტი

„არ შეიძლება, ტურიზმი ქვეყნის განვითარების მთავარი დარგი იყოს“

– სანამ ქვეყანაში ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა არ ჩამოყალიბდება და ვიქნებით დამოკიდებული ტურისტის ჩამოსვლაზე, ღვინის და მინერალური წყლის გატანაზე, ჩვენი ეკონომიკა ყოველთვის მოწყვლადი დარჩება, – ამის შესახებ პროფესორმა ლადო პაპავამ რუსულ ტურისტულ ემარგოზე საუბრისას განაცხადა შეხვედრის დაწყებამდე, რომელიც ეკონომიკის მინისტრ ნათია თურნავასთან იმართება.

პაპავას თქმითვე, ტურიზმი – ეს გადარჩენის ეკონომიკაა.

– ყველას აქცენტი მოკლევადიან ქმედებებზეა გაკეთებული, მაგრამ, სამწუხაროდ, არა გრძელვადიან პრობლემებზე. ის, რაც საქართველოს ეკონომიკას ახლა მოუვიდა, ამის საფუძველი 15 წელი იქმნებოდა, ამიტომ ჩვენი ეკონომიკისადმი მიდგომა პრინციპულად უნდა შევცვალოთ.

მიმდინარე ეტაპზე უნდა გადავარჩინოთ ტურიზმი და მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ საქართველოში დასვენებას, უნდა მოვძებნოთ სხვადასხვა გზები სხვადასხვა ქვეყნების ჩართულობით, მაგრამ სტრატეგიულად ეს ისევ იმ მცდარი პოლიტიკის გაგრძელება იქნება, რაც საქართველოში ამ დრომდე იყო.

ტურიზმი არ შეიძლება ქვეყნის განვითარების მთავარი დარგი იყოს.

პრემიერ-მინისტრმა რამდენჯერმე გაახმოვანა, რომ ქვეყანაში განათლების და მეცნიერების ხელშეწყობა მთავარი უნდა იყოს, – განმარტა პაპავამ.

ლადო პაპავას თქმითვე, ქვეყანაში განათლების სექტორის განვითარებას დრო და თანხები სჭირდება, მაგრამ ის მაინც პრიორიტეტული უნდა გახდეს.

– გადარჩენაზე ორიენტირებულები როდემდე უნდა ვიყოთ? მთავრობას ერთ წელში არჩევნები აქვს და უმთავრესი საზრუნავი მაინც გადარჩენის ეკონომიკაა. თუმცა, ოპტიმისტურ განწყობას პრემიერის განცხადება ქმნის, რომ პრიორიტეტული უნდა გახდეს განათლება და მეცნიერება შედეგი მალე არ იქნება, განათლებას და მეცნიერებას დიდი თანხის ჩადება და დიდი დრო უნდა, მაგრამ ეს სწორი გზაა. თუ არადა, ვიქნებით მუდმივად ამ იწილო-ბიწილოში, – აღნიშნა პროფესორმა.

BMG

ოქროს მაძიებელს გადასახადი 10-ჯერ უმცირდება

ოქროს მაძიებელს გადასახადი 10-ჯერ უმცირდება, ამასთან, მას მარაგების დამტკიცების ყოველ ჯერზე ათვისების გეგმას აღარ მოსთხოვენ. გადასახადებს, ფაქტობრივად, მოპოვებული მარაგების მიხედვით დაუთვლიან.

ბაზრის მონაწილეებს რეფორმისგან დიდი მოლოდინი აქვს. ჯონი შუბითიძე (კავკასიის სამთო ჯგუფი) აღნიშნავს რომ ახალი ჩარჩო რეგულირება სახელმწიფოსა და კონტრაქტორის უფლებებს თანაბრად დაიცავს. გეოლოგი ზარალის დათვლის მეთოდოლოგიის ცვლილების საჭირობაზეც აცხადებს, რაც მხარეებს შორის დაუსრულებელი დავის საგანი ხდება და არსებული კანონმდებლობით ვერ გვარდება. ახალი ფორმულა მომპოვებლების მხრიდან გარემოსთვის მიყენებული ზარალს დათვლადს ხდის.

„კავკასიის სამთოს ჯგუფი“ შესწავლით სამუშაოებს 371 კმI -ზე აწარმოებს. ის 50-იანი ტარიფით ვერ სარგებლობს. ჯონი შუბითიძე რეფორმის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ნაწილზე ამახვილებს ყურადღებას – ლიცენზიანტს არანაირი დათქმის და საფასურის ნაცვლად არ შეეძლება ეკოლოგიური საკითხებისგან გამიჯვნა და ვალდებულებებისგან თავის არიდება. გასულ წლებში კი ლიცენზიანტებთან ეს გარკვეული შეთანხმების საფუძველი იყო.

ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, წიაღის რეფორმის II ფაზის მომსახურე კომპანიის შესარჩევი ტენდერი მიმდინარეობს, რომელიც EBRD-იმ გამოაცხადა, თუმცა არც წიაღის სააგენტო და არც ევრობანკი განაცხადების რაოდენობას არ ამხელენ.

სამინისტროს ცნობით, რეფორმის მე-2 ფაზა მომავალ წელს დასრულდება,ახალი მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავებით, რომელიც რიალტის სისტემასაც გულისმობს.

ოფიციალური სტატისტიკით, წიაღის სფეროსადმი ინვესტორების ინტერესი გაზრდილია. H1/2019-ის მდგომარეობით, 329 ლიცენზიაა გაცემული და 65,4 მლნ – ინვესტირებული.

GBC

რამდენი დამტვრეული და მეორადი ავტომობილი შემოდის საქართველოში, არ აღირიცხება

რამდენი დამტვრეული და მეორადი ავტომობილი შემოდის საქართველოში, არ აღირიცხება. ამის შესახებ Galt & Taggart-ის ანალიტიკოსმა თათია მამრიკიშვილმა რადიო „პალიტრას“ გადაცემაში „საქმე“ ორგანიზაციის ავტობიზნესის კვლევაზე საუბრისას განაცხადა.

– ქვეყანაში ძირითადად მეორადი, დაზიანებული ავტომობილები შემოდის, რომელსაც მერე აკეთებენ და ასეთი ავტომობილები მოძრაობს გზებზე. ამ მიმართულებით არანაირი რეგულაცია არ გვაქვს, რაც შეზღუდავდა ასეთი ავტომობილების იმპორტს, თუმცა, მომავალში ტექინსპექტირება გამკაცრდება, რაც ხელს შეუწყობს, რომ მსგავსი ავტომობილები ნაკლებად შემოვიდეს ქვეყანაში.

რაც შეეხება სტატისტიკას, ოფიციალურ მონაცემებს შესაბამისი უწყებებიდან ჩვენც ვითხოვთ, მაგრამ მათი პასუხია, რომ როდესაც შემოდის ავტომობილები, არ არის მითითებული, ის ახალია, დამტვრეული, მეორადი თუ ა.შ. შესაბამისად, ამ სტატისტიკის დამუშავება ხელმისაწვდომი არ არის, რადგან ფიზიკურად არ აღირიცხება რამდენია დამტვრეული და რამდენი ახალი, – განაცხადა მამრიკიშვილმა.

Galt&Taggart-ის კვლევის მიხედვით, 2010-2018 წლების განმავლობაში ავტობიზნესის წლიური ბრუნვა 14,8%-ით გაიზარდა და 2018 წელს 2.6 მილიარდი ლარი შეადგინა. 2018 წლის მონაცემებით, წლიური ბრუნვის მიხედვით, ბიზნესის წამყვან ქვესექტორებს სამი მიმართულება წარმოადგენს: ავტომობილების გაყიდვა – 64,7%; ავტონაწილები – 31,9%; ავტოსერვისი – 3,4%. რაც შეეხება ავტოპარკს, 2018 წელს საქართველოს ავტოპარკს 3.4 ათასი ახალი ავტომობილი დაემატა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების რაოდენობამ 1.32 მილიონი შეადგინა.

ბპნ

„წელს ტურისტულ ზონებში ფასები დაიკლებს“

რუსეთ-საქართველოს შორის ავია მიმოსვლის შეწყვეტა ძირითად დარტყმას ზღვისპირა კურორტებს მიაყენებს. ტურიზმის ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი „კომერსანტთან“ საუბარში აცხადებს, რომ საქართველოში შარშან რუსეთიდან 1.400.000 ტურისტი ჩამოვიდა. მამუკა ბერძენიშვილი ამბობს, რომ ეს მთელი ნაკადის 21 პროცენტია. მისი თქმით, აქედან ყოველი მეოთხე ტურისტი აჭარაში ჩადის, ამიტომ რუსი ტურისტების წილი ამ რეგიონში საკმაოდ დიდია.

– აჭარაში რუსი ტურისტების წილი საკმაოდ მაღალია. ამ დროისთვის ქსელურ და დიდი სასტუმროებს აქვთ მოლოდინი, რომ მილიონიდან მილიო – ნახევრამდე ლარს დაკარგავენ. ტურისტები, რომლებიც დიდ სასტუმროებში ჩამოდიან, უმეტეს შემთხვევაში ტურპაკეტით სარგებლობენ და, რა თქმა უნდა, საჰაერო გზით მოფრინავენ. ისინი სააგენტოების მომსახურებას იყენებენ, ამიტომ ეს ყველაფერი პირდაპირ ურტყამს პირველ რიგში დიდ ტუროპერატორებს. ეს თავისთავად ნიშნავს იმას, რომ ჯავშნების რიცხვი დაეცემა, უმეტესობა ან უკვე გაუქმდა, ან უახლოეს მომავალში გაუქმდება, – აცხადებს მამუკა ბერძენიშვილი.

ტურიზმის ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი საუბრობს იმ სამოქმედო ნაბიჯებზე, რომლებიც შეიძლება სახელმწიფომ კერძო სექტორთან ერთად გადადგას, რათა რუსული ავია ემბარგოს მიერ მოყენებული ზიანი შემცირდეს.

– ის, რაც მოკლე ვადიან პერიოდში მოიტანს შედეგს გრძელვადიანი ნაბიჯების დასაწყისია. მაგალითად, იმ ფრენების სუბსიდირება, რომლებიც ტურისტული ოპერატორების მიერაა დანიშნული, ვგულისხმობ, არა რეგულარულ ჩარტერულ ფრენებს. სახელმწიფომ შეიძლება სხვადასხვა სახის დახმარება გაიღოს, იქნება ეს კონკრეტულ ტურიზმზე დაწესებული თანხა, ან აეროპორტის მოსაკრებლის სუბსიდირება, ასევე სარეკლამო ხარჯები და ა.შ. ამის პრაქტიკა არსებობს, როგორც საქართველოში ისე მის ფარგლებს გარეთ. მაგალითად, ქუთაისის აეროპორტი იყენებს ამ მეთოდს, მაგრამ, თბილისთან და ბათუმთან მიმართებით რადგან ორივე კერძო კომპანიისაა, ამის პრაქტიკა არ ყოფილა. მიუხედავად ამისა, TAV-თან ურთიერთობის დარეგულირების საფუძველზე ყველაფერი შეიძლება მოხდეს. დარწმუნებული ვარ TAV-ი მზად იქნება ამ ნაწილში ნაბიჯები გადმოდგას სახელმწიფოსკენ, – აცხადებს მამუკა ბერძენიშვილი.

მამუკა ბერძენიშვილი ტურისტების დეფიციტის შევსების გრძელვადიან გეგმაზეც ამახვილებს ყურადღებას. მისი თქმით, კონკრეტულ ქვეყნებში საჭიროა მიზანმიმართული სარეკლამო კამპანიის წარმოება და კონკრეტული მარკეტინგული მესიჯების გაგზავნა.

– პირობითად თუ ვიცით, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნების ფრენების სუბსიდირებას ვახდენთ, მაშინ, უნდა ვიცოდეთ ბალტიისპირეთის ქვეყნებში რა კონტენტის მარკეტინგული სვლებია გასაკეთებელი. შეიძლება ზოგადი სახის სარეკლამო რგოლები, რომლებიც Euronews-ზე, Bloomberg-სა თუ სხვა არხებზე გადის, არ იყოს ტურისტების მასტიმულირებელი. ეს კამპანია შეიძლება ზოგადად, ცნობადობის ამაღლებას უწყობს ხელს, მაგრამ კონკრეტულ სოციალურ ჯგუფებზე გავლენას არ ახდენს, ალბათ უფრო კონკრეტული მესიჯების გაგზავნაა საჭირო კონკრეტულ ქვეყნებში, – განმარტავს მამუკა ბერძენიშვილი. იმისათვის, რომ რუსული ავიაემბარგო ბიზნესზე მძიმედ არ აისახოს და ტურიზმის სექტორს ხელის შეეწყოს ტურიზმის ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი საგადასახადო რეგულაციების შერბილებაზეც საუბრობს.

– შეიძლება დაწესდეს რამდენიმე სახის გადასახადი. პირველი ის, რომ თავად არსებული გადასახადები შემცირდეს ტურისტული სექტორისთვის, მაგრამ მეეჭვება, რომ მოკლე ვადაში მოხდეს, რადგან ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივაა. რეგულაციების შერბილება გავლენას არა მხოლოდ აჭარაზე სხვა რეგიონის მოთამაშეებზეც მოახდენს. ამ გზით შეიძლება მდგომარეობა შეუმსუბუქდეს განსაკუთრებით იმ სასტუმროებს, რომლებიც დიდ ქონებას ფლობენ და დიდ კომუნალურ გადასახადებს იხდიან. ეს კომუნალური გადასახადებიც ადგილობრივ დონეზე შეიძლება დარეგულირდეს, – ამბობს მამუკა ბერძენიშვილი.

როგორ შეიძლება ტურისტულ სექტორში დამატებით თანხების მოძიება, იმისთვის, რომ ქვეყანაში შექმნილი კრიზისული სიტუაცია შედარებით გამოსწორდეს.

– ტურის ტაქსის გადასახადის შემოღება, ანუ თითოეულ უცხოელ ტურისტი, რომელიც ბათუმში ჩამოვა სიმბოლურად გარკვეულ თანხას, ერთ ან ორ ლარს გადაიხდის. შემდეგ მთავრობა ამ თანხას მოახმარს ამ კრიზისული პერიოდის მართვას. თუ ეს სიტუაცია ასე გაგრძელდა, ჩავარდნა ორი წელი მაინც გვექნება. ამ პერიოდს სჭირდება დამატებით სახსრები და ამ გადასახადების შემოღებით შეიძლება თანხის რაღაც ნაწილი იყოს მობილიზებული, – განაცხადა მამუკა ბერძენიშვილმა.

კომერსანტის კითხვაზე, როგორ აისახება ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესები კურორტზე განთავსების საფასო ღირებულებაზე, ტურიზმის ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი გვპასუხობს:

– მგონია, რომ სერვისი კიდევ უფრო გაიაფდება. ჩვენ ისედაც იაფიანი მიმართულება ვიყავით ბევრი სამიზნე ბაზრისთვის, იგივე რუსეთისთვის. შემცირებული მოთხოვნა კი ჩვენს სერვისებზე კიდევ უფრო უარყოფით გავლენას მოახდენს, ანუ წელს ტურისტულ ზონებში ფასები დაიკლებს, – აცხადებს მამუკა ბერძენიშვილი.

კომერსანტი

გახარია: „ივანიშვილმა 20 ივნისის მოვლენების შესახებ მეორე დღეს გაიგო“

შს მინისტრი პროკურატურამ გამოკითხა

გუშინ, 17 ივლისს, შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია პროკურატურაში გამოიკითხა.

როგორც გახარიამ გამოკითხვის შემდეგ აღნიშნა, დაისვა ყველა კითხვა, რომელიც აინტერესებდა გამოძიებას.

– მოგეხსენებათ, რომ გენერალური პროკურატურა იძიებს სამოხელეო ნაწილში გადაცდომების შესაძლებლობას და საერთოდ ამ ღონისძიებას. კითხვები ბევრი იყო და, შესაბამისად, ჩემი მხრიდან იყო პასუხი გაცემული. რამდენჯერაც დამიბარებენ და საჭირო იქნება, იმდენჯერ მოვალ. მე არ მაქვს, არც შინაგან საქმეთა სამინისტროს და პოლიციას არანაირი პრობლემა იმიტომ, რომ კარგად ვიცით, სად არის სიმართლე. ჩვენ აქ მოვდივართ და ამ სიმართლეს ვეუბნებით, – განაცხადა გახარიამ.

მისი თქმით, სანამ პროკურატურის და სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებები არ იქნება, პოლიციელები დარჩებიან პოლიციელებად.

– პასუხისმგებლობა იქნება იმაზე, რომ შს სამინისტრომ და პოლიციელებმა შეძლეს და ქვეყანას აარიდეს სამოქალაქო დაპირისპირება. ეს არის ჩვენი ყველაზე დიდი მიღწევა. თუ რომელიმე პოლიციელის ქმედებაში პროკურატურა აღმოაჩენს გადაცდომას, რა თქმა უნდა, სამართლებრივი რეაგირება იქნება, მაგრამ ასევე უნდა აღვნიშნო, რომ სანამ პროკურატურის და სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებები არ იქნება, ეს პოლიციელები არიან პოლიციელები, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

მისივე თქმით, საქმის მასალებში დევს ყველაფერი, რაც საჭიროა იმისთვის, რომ გენერალურმა პროკურატურამ შესაბამისად ჩაატაროს გამოძიება.

შს მინისტრმა ბიძინა ივანიშვილზეც ისაუბრა. მისი თქმით, ივანიშვილმა 20 ივნისს, რუსთაველის გამზირზე განვითარებული მოვლენების და დარბევის შესახებ მეორე დღეს გაიგო.

– მეორე დღეს გაიგო, დრო არ მახსოვს. იმ ღამეს არ იცოდა. მე არ მქონია პირადად კომუნიკაცია. მან დამირეკა მეორე დღეს და მე ავუხსენი, რა მოხდა იმ ღამეს, – განაცხადა გახარიამ.

ირაკლი ოქრუაშვილის დაცვის წევრი კობა კოშაძე დააკავეს

გუშინ, 17 ივლისს, სამართალდამცველებმა ირაკლი ოქრუაშვილის დაცვის წევრი დააპატიმრეს. მის საცხოვრებელ სახლში ჩხრეკა ჩატარდა.

დაკავებას წინ უძღოდა მუქარა ოქრუაშვილის მისამართით.

თავდაცვის ექსმინისტრი ამტკიცებს, რომ მას ივანიშვილის შუამავალმა უთხრა, რომ საქართველოში დაბრუნებისთანავე დაიჭერდნენ.

ოქრუაშვილის დაცვის წევრ კობა კოშაძეს სამართალდამცველები ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვას ედავებიან.

პოლიციელები დეტალებზე არ საუბრობენ, ადასტურებენ მხოლოდ იმას, რომ ამოღებულია ნივთმტკიცება – იარაღი და კობა კოშაძის დაკავება მოსამართლის განჩინებით მოხდა.

დაკავებულის ადვოკატი კი აცხადებს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფს იარაღი ჩაუდეს.

– რაც ვიცით, ქალაქის შემოსასვლელში დააკავეს კობა კოშაძე და როგორც გავიგეთ გამომძიებლისგან, ედავებიან ცეცხლსასროლი იარაღის, კერძოდ, მაკაროვის ტიპის პისტოლეტის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებას.

დაკავებულია, მის ბინაში ჩხრეკა ჩაატარეს. არაფერი კანონსაწინააღმდეგო იქ არ აღმოჩნდა, – განაცხადა ადვოკატმა მამუკა ჭაბაშვილმა.

დაკავებულის მეუღლის თქმით, კობა კოშაძეს იარაღი არასდროს ჰქონია. მისი დაკავების შესახებ კი სამართალდამცავებისგან გაიგო.

– იმყოფებოდა რაიონში და ამ დილით მოდიოდა. რაიონიდან დამირეკა და მერე გაწყდა კავშირი. ვურეკავდი და არ მიპასუხა. შემდეგ პოლიციიდან დამიკავშირდნენ და მითხრეს, რომ მათ ჰყავდათ, – განაცხადა კობა კოშაძის მეუღლემ.

ირაკლი ოქრუაშვილის თანაგუნდელები პოლიტიკურ ანგარიშსწორებაზე საუბრობენ.

სპეცრაზმელ ლევან იმერლიშვილს პატიმრობა შეეფარდა

20-21 ივნისს, პარლამენტის შენობის წინ აქციის დაშლისას სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით დაკავებულ განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომელს, ლევან იმერლიშვილს, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ ნინო ჩახნაშვილმა გუშინ, 17 ივლისს, გამოაცხადა.

სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარემ დაკავებული სამართალდამცველისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობა დააყენა.

აღნიშნულ შუამდგომლობას დაცვის მხარე არ დაეთანხმა. ადვოკატმა მისი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ 5.000 ლარიანი გირაოს გამოყენების შუამდგომლობა დააყენა.

დაკავებულ სამართალდამცველს ბრალი ოფიციალურად 16 ივლისს წაუყენეს. ის დუმილის უფლებით სარგებლობს.

პროკურატურის ინფორმაციით, საქმეზე ჩატარებული გამოძიების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებებით დგინდება, რომ 2019 წლის 21 ივნისს, გამთენიისას, რუსთაველის გამზირზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს აღნიშნულმა თანამშრომელმა გადაამეტა თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას და ფიზიკურად იძალადა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის დაკავებულ პირზე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი დაკავებულ იქნა სასამართლოს განჩინების საფუძველზე, ძალადობით სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის, სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

პროკურატურის ინფორმაციითვე, პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე აქციის ცალკეული მონაწილეების მიმართ სამართალდამცავთა მხრიდან უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების საქმეზე გამოძიება საქართველოს გენერალურ პროკურატურაში აქტიურად მიმდინარეობს.

სამეგრელოში ბაღში 60 წლის მამაკაცი იპოვეს

ის საავადმყოფოში გარდაიცვალა

ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონში მდებარე ყოფილი საბავშვო ბაღის ტერიტორიაზე ნაპოვნი 60 წლამდე მამაკაცი საავადმყოფოში, გონსმოუსვლელად გარდაიცვალა.

უგონო მდგომარეობაში მყოფი კაცი ერთ-ერთმა ადგილობრივმა 16 ივლისს იპოვა და პოლიცია გამოიძახა.

ადგილობრივების თქმით, მამაკაცს თავის არეში აღენიშნებოდა ჭრილობა და ასევე ნეკნი ჰქონდა გატეხილი.

ერთ-ერთი დაუდასტურებელი ინფორმაციით, მამაკაცი წაიქცა და თავი დაარტყა. მეზობლების თქმით, გარდაცვლილს კონფლიქტი არავისთან ჰქონია. ის სოფელში მარტო ცხოვრობდა, ოჯახი კი თბილისში ჰყავს.

პაციენტს ოპერაცია 16 ივლისს ჩაუტარდა, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. მედიკოსთა ინფორმაციით, მას ქალა-ტვინის ტრავმა და თავის ტვინის დაჟეჟილობა აღენიშნებოდა.

მომხდარზე გამოძიება 115-ე, თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით დაიწყო.

„კახა ღავთაძე არის შერჩევითი სამართლის მსხვერპლი“

აქციის მონაწილეს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა

თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურორ გიორგი მუკბალიანის შუამდგომლობა და 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით, ჯგუფური ძალადობის მუხლით დაკავებული აქციის ოთხი მონაწილიდან ერთ-ერთს, კახა ღავთაძეს, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ, ეკა კულულაშვილმა გუშინ, 17 ივლისს, გამოაცხადა.

პროცესზე კახა ღავთაძემ დუმილი დაარღვია და 20 ივნისის დღე გაიხსენა.

– 20-ში მთელი დღე ვმუშაობდი ტაძარში, ფრესკას ვხატავდი. არ მქონდა არანაირი ინფორმაცია, რა ხდებოდა პარლამენტში და ინტერესის გამო გავიარე პარლამენტთან. იქ მითხრეს არასწორი ინფორმაცია, რომ რუსები არიან ჩვენს პარლამენტშიო. არც ფარი გამომირთმევია ვინმესთვის, არც ხელი და ფეხი დამიმტვრევია. მხოლოდ მიწოლაში ვმონაწილეობდი და ამ ყველაფერს ვაცნობიერებ და ვნანობ, – განაცხადა ბრალდებულმა სასამართლო პროცესზე.

მისი ადვოკატის თქმით, კახა ღავთაძე არის შერჩევითი სამართლის მსხვერპლი.

როგორც ადვოკატმა მერაბ წკრიალაშვილმა აღნიშნა, მოსამართლე ეკატერინე კულულაშვილი საქართველოში მართლმსაჯულებას კლავს.

– კახა ღავთაძე არის შერჩევითი სამართლის მსხვერპლი. დაახლოებით 2 კვირის წინ ჩვენ ყველამ ერთად ვიხილეთ, რომ აღნიშნული ბრალდებით და უფრო მკაცრი ბრალდებით პასუხისგებაში მიცემული იყო მოქმედი პარლამენტის წევრი, ბატონი ნიკანორ მელია და გათავისუფლდა გირაოს სანაცვლოდ. ჩვენ შევთავაზეთ გირაოს სახით 5.000 ლარი, ასევე დამატებითი საპროცესო ღონისძიებების გამოყენება, როგორიცაა პასპორტის ჩაბარება, პოლიციაში გამოცხადება, თუმცაღა დღეს დამტკიცდა ის, რომ ქალბატონი კულულაშვილი საქართველოში კლავს მართლმსაჯულებას. ეს ქალი არის მიზანმიმართულად დაინტერესებული, რომ ყოველთვის იყოს ტენდენციური და დაიკავოს ბრალდების მხარის პოზიცია, – განაცხადა ადვოკატმა.

მისივე თქმით, შესრულდა ის პოლიტიკური დაკვეთა, რაზეც შს მინისტრი გიორგი გახარია საუბრობდა.

– ცალსახად იყო პოლიტიკური გადაწყვეტილება. სამართლებრივი ჩარჩოებიდან გასულია უკვე ეს საკითხი და შესრულდა ის პოლიტიკური დაკვეთა, რაზეც ბატონი მინისტრი, გიორგი გახარია საუბრობდა, – აღნიშნა ადვოკატმა.

აღნიშნულ საქმეზე შემდეგი სასამართლო პროცესი 4 სექტემბერს, 12:00 საათზე გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ 20-21 ივნისის ღამეს განვითარებული მოვლენების დროს, ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობისთვის, მოსამართლის განჩინების საფუძველზე 4 პირი დააკავა. კერძოდ, შსს-ს ინფორმაციით, 1992 წელს დაბადებული კახა ღავთაძე პოლიციელების მიმართ გამოირჩეოდა განსაკუთრებული აგრესიით და ცდილობდა მათთვის ფარის წართმევას.

ასევე, მან ერთ-ერთი სამართალდამცავი კორდონიდან ხალხის მასაში გაათრია.

თბილისში მშენებლობაზე დაღუპული მუშა 16 წლის გიორგი ბეშკენაძეა

16 ივლისს თბილისში, დოლაბაურის ქუჩაზე, უბედური შემთხვევის შედეგად გარდაცვლილი მუშა, 16 წლის გიორგი ბეშკენაძეა.

არასრულწლოვანი დედასთან ერთად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ გვიმრიანიდანაა, რომელიც სოფელ აფენის თემში შედის.

აფენში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის, გია გაფრინდაშვილის ინფორმაციით, ბეშკენაძეები ხელმოკლედ ცხოვრობდნენ.

– კარგა ხანს ეხმარებოდა მუნიციპალიტეტიცა და წითელი ჯვარიც. ბოლო ერთი წელია, ხშირად იმყოფებოდნენ მეზობელ სოფელ ლელიანში ბიძასთან, – თქვა გაფრინდაშვილმა.

რამდენიმე წლის წინ, ბეშკენაძეებს თავს ტრაგედია დაატყდა.

გაურკვეველი მიზეზით თავი მოიკლა გარდაცვლილის უფროსმა ძმამ. ოჯახის მამა შვილზე დარდს ვერ გაუმკლავდა და შვილის საფლავზე სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

პრაიმ ტაიმი

ზუგდიდში 15 წლის გოგონას ავტომანქანა დაეჯახა

ზუგდიდის ცენტრში 15 წლის გოგონას ავტომანქანა დაეჯახა. შემთხვევა გუშინ, 17 ივლისს, დილით, რუსთაველის ქუჩაზე მოხდა.

თვითმხილველების ინფორმაციით, გოგონა შუქნიშანზე, წითელზე გადადიოდა, როდესაც მას ოპელის მარკის ავტომანქანა დაეჯახა.

როგორც თვითმხილველებმა „ლაივპრესს“ განუცხადეს, მოზარდს სხეულის დაზიანება არ მიუღია, თუმცა სასწრაფო სამედიცინო დახმარება ადგილზე მაინც გამოიძახეს. ზუგდიდის საავადმყოფოში კი სააგენტოს უთხრეს, რომ ბავშვი მათთან არ შეუყვანიათ.

კასპში ქვით დატვირთული მანქანა გზიდან გადავარდა

დაიღუპა 1 ადამიანი

ტრაგედია დატრიალდა კასპის რაიონში. „ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, რკონი-ერთაწმინდის გზაზე ქვით დატვირთული მანქანა გზიდან გადავარდა, რასაც 45 წლის მამაკაცის სიცოცხლე ემსხვერპლა.

შემთხვევის შედეგად 1 ადამიანი დაშავდა, ის საავადმყოფოშია გადაყვანილი.

შს სამინისტროს პრესსამსახურის ცნობით, ავტომანქანაში 2 ადამიანი იჯდა.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეექვსე ნაწილით მიმდინარეობს.

თურქეთიდან ყალბი 100 დოლარიანები შემოიტანეს

2 კაცი დააკავეს

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა დიდი ოდენობით ყალბი ფულის გასაღების ფაქტზე ორი პირი დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან აცნობეს, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა თურქეთის რესპუბლიკიდან შემოიტანეს და აჭარის რეგიონში გაასაღეს ყალბი 100 დოლარიანი კუპიურები.

მათივე ინფორმაციით, გატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ამოღებულია 10.000 აშშ დოლარის ოდენობის ყალბი კუპიურა.

„გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლის მეორე ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7-დან 10 წლამდე ვადით“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

2019, 18 ივლისი, №168

URSULA ფონ დერ ლაიენი ევროკომისიის პრეზიდენტი გახდა

გერმანიას ახალი თავდაცვის მინისტრი ეყოლება

გერმანიის თავდაცვის მინისტრი ურსულა ფონ დერ ლაიენი ევროკომისიის პრეზიდენტის პოსტზე აირჩიეს. კენჭისყრა ევროპარლამენტში ჩატარდა. მემარცხენე-ცენტრისტი პოლიტიკოსი ჟან კლოდ იუნკერს 1 ნოემბრიდან ოფიციალურად ჩაანაცვლებს.

იგი პირველი ქალი იქნება, რომელიც აღნიშნულ თანამდებობას დაიკავებს. კენჭისყრის დროს მას მხარი ევროპარლამენტის წევრთა ნახევარზე მეტმა დაუჭირა. ურსულა ფონ დერ ლაიენს 374 ხმა სჭირდებოდა, მას კი 383-მა ევროპარლამენტარმა დაუჭირა მხარი.

– ნდობა, რომელიც მე გამომიცხადეთ, არის ნდობა ევროპისადმი. ჩემი მუშაობა იწყება ამ წუთიდან. მოდით, ვიმუშაოთ ერთად კონსტრუქციულად, – განაცხადა მან კენჭისყრის დასრულების შემდეგ.

ურსულა ფონ დერ ლაიენი ევროკომისიის პრეზიდენტის პოსტს 5 წლის განმავლობაში დაიკავებს.

მისმა ახალ პოსტზე არჩევამ გერმანიის თავდაცვის მინისტრის პოსტი ვაკანტური გახდა. მას ასევე ქალი, ანგერეტ კრამპ-კარემბაუმი დაიკავებს.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ მერკელის წასვლის შემდეგ მას სწორედ კრამპ-კარემბაუმი შეცვლის.

აშშ-ის კონგრესი ტრამპის წინააღმდეგ

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა რეზოლუცია მიიღო, რომელშიც პრეზიდენტ დონალდ ტრამპის მიერ ორი დღის წინ გაკეთებული განცხადება დაგმო.

პრეზიდენტმა თავის ტვიტერში 4 ფერადკანიან დემოკრატ კონგრესმენ ქალს საკუთარ სამშობლოში დაბრუნება და იქ წესრიგის დამყარებაში მონაწილეობის მიღება ურჩია.

ამ 4 კონგრესმენიდან 3 ამერიკაშია დაბადებული, 1 კი 12 წლის ასაკშია ჩასული.

რეზოლუცია კონგრესმა 240 ხმით 187-ის წინააღმდეგ მიიღო.

მას მხარი დაუჭირეს დემოკრატებმა და მხოლოდ ოთხმა რესპუბლიკელმა, რომლებმაც პარტიის პოზიცია და ტრამპის მოწოდება არ გაითვალისწინეს. რეზოლუციაში ტრამპის გამონათქვამი დაგმეს „რასისტული შენიშვნის გამო, რომელიც ლეგიტიმურს ხდის მზარდ შიშს და სიძულვილს ახალი ამერიკელების და არათეთრკანიანი ადამიანების მიმართ“.

კონგრესის რეზოლუცია სიმბოლურია და მას იურიდიული ძალა არ ექნება.

თავად ტრამპმა თავის განცხადებებში რასისტული კონტექსტი უარყო.

პერუს ყოფილი პრეზიდენტი დააპატიმრეს

აშშ-ში პერუს ყოფილი პრეზიდენტი ტოლედო დააპატიმრეს. მას ბრალად ედება დიდი ოდენობით ქრთამის აღება.

ტოლედო პერუს ხელისუფლების მოთხოვნით დააკავეს. ამტკიცებენ, რომ ტოლედომ პრეზიდენტის პოსტზე ყოფნისას ერთ-ერთი სამშენებლო ფირმისგან 20 მილიონი დოლარის ქრთამი აიღო, სანაცვლოდ კი ხსენებულ ფირმას ხელსაყრელი კონტრაქტი გაუფორმა.

ექსპეზიდენტს სამშობლოში დეპორტაცია ემუქრება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

აშშ-ის ჯარი სირიაში რჩება

სირიაში სამოქალაქო ომი გრძელდება. აშშ-ის თავდაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა მარკ ესპერმა განაცხადა, რომ ამერიკული არმია სირიაში დარჩება.

– ისლამური სახელმწიფო ბოლომდე ჯერ არ არის განადგურებული. სირიიდან ჩვენი ჯარის გამოყვანაც გამორიცხულია! – თქვა ესპერმა.

მოსკოვის საბჭოს არჩევნებში ოპოზიციის 27 კანდიდატი არ დაუშვეს

მოსკოვის საქალაქო დუმის არჩევნები წელს უჩვეულოდ სკანდალური აღმოჩნდა. ხელისუფლებამ ოპოზიციის 27 კანდიდატს რეგისტრაციაზე უარი უთხრა. მათ შორის არიან ლიუბა სობოლი, ილია პონომარიოვი და ა.შ.

ისინი არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ.

ხელისუფლების ასეთმა მოქმედებამ საპროტესტო აქციები გამოიწვია. პოლიციამ ისინი ძალის გამოყენებით დაშალა. მიუხედავად ამისა, აქციები მაინც არ ცხრება.

– კრემლი მოსკოვის მერიაზე არავითარ ზეწოლას არ ახდენს! ჩვენ ქალაქის დუმის არჩევნებში არ ვერევით, – განაცხადა პუტინის თანაშემწემ დიმიტრი პესკოვმა.

აშშ თურქეთს ეფ-35 ტიპის ავიაგამანადგურებლებს არ მიყიდის

აშშ თურქეთს ეფ-35 ტიპის ავიაგამანადგურებლებს აღარ მიყიდის.

ამის თაობაზე პრეზიდენტმა ტრამპმა განაცხადა.

– რაკი თურქეთმა რუსული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა შეიძინა, თანამედროვე ამერიკულ ავიაგამანადგურებლებს აღარ მივაწვდით, – თქვა ტრამპმა.

მსგავსი განცხადება აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმაც გააკეთა.

ᲙᲐᲚᲔᲘᲓᲝᲡᲙᲝᲠᲘ

დამსვენებლებმა ხმალთევზა მოკლეს

საბერძნეთის კუნძულ ევბეას ქალაქ ხალკიდაში ტურისტებმა მოკლეს ხმალთევზა, რომლის სანაპიროსთან გამოჩენამ ისინი შეაშინა.

ხმალთევზა თავთხელ წყალში ქვირითის დასაყრელად შეცურდა. თავდაპირველად დამსვენებლებს ის ზვიგენი ეგონათ და პანიკაში ჩავარდნილები წყლიდან ამოვარდნენ. ისინი მალევე მიხვდნენ საკუთარ შეცდომას და უკანვე დაბრუნდნენ. ამის შემდეგ კი მათ თევზის დევნა დაიწყეს და მას სხვადასხვა საგნებს ესროდნენ, სანამ ხმალთევზა არ დაიღუპა. მომხდარი ვიდეოზე ერთ-ერთმა თვითმხილველმა გადაიღო.

ხმალთევზას სიგრძე 4,55 მეტრს, ხოლო წონა 650 კილოგრამს აღწევს. ის ადამიანისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს და ერთი შემთხვევის გარდა ადამიანს თავს არასოდეს დასხმია. 2015 წელს ხმალთევზამ განგმირა მეთევზე, რომელმაც მას ჰარპუნი ესროლა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ᲚᲐᲛᲐᲠᲐ ᲗᲝᲓᲣᲐ. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲝᲗᲐᲠ ᲭᲘᲚᲐᲫᲘᲡ Ქ. №166. ᲛᲔ-10 ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ.
ᲢᲔᲚ.: 230 62 52; 599 16 10 82

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ

ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐ, ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐ

● ფოტოსურათით მოგიხსნით აგრესიას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, თვითმკვლელობის სურვილს, შფოთიან ძილს, ალკოჰოლიზმს, აზარტული თამაშების სურვილს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აკვიატებებს, უიმედობას, ჯადო-თვალი-წყევლას. ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-49-84-23.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკობიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

საბურთალო ბეწვის ხიდზე გაიარა

შერიფის მწვრთნელმა კოხრეიძე გამოარჩია

საბურთალო-შერიფი 1:3

თბილისი. მიხეილ მესხი

0:1 ლაფიტი (3), 0:2 მარგველაშვილი (7სკ), 0:3 ტამბე (11), 1:3 როლოვიჩი (59)

საბურთალო: მიგინეიშვილი, მალი, მარგველაშვილი, ლაკვეხელიანი, რეხვიაშვილი, გონსალვესი (შინდგორიძე 81), დიასამიძე, ალთუნაშვილი (ტერა 70), გორგიაშვილი, კოხრეიძე, როლოვიჩი (გაბედავა 77)

შერიფი: მიკულიჩი, მუზეკი, პალჩიჩი, კრისტიანო, ანტონი (ჟაჩი 83), გორდიენკო (პალიჩი 69), ლაფიტი, ტამბე, ბობანი (რიბეირო 69), კენდიში, ნ'დიაე

გაძევება: პალჩიჩი (72)

ბეწვის ხიდზე გაიარა საქართველოს ჩემპიონმა. მოლდოვაში ნაბრძოლი და ოფლით მოპოვებული 3-ბურთიანი უპირატესობა 10 წუთში გაანიავა და ყველაფრის თავიდან დაწყება მოუხდა. მეტიც, შერიფი ფსიქოლოგიურად უკეთეს სიტუაციაში იყო, მაგრამ ეს შანსი ვერ გამოიყენა, თორემ შემდეგ ეტაპზე გავიდოდა.

ეიფორია, გამოუცდელობა თუ მეტოქის დაუფასებლობა, რთული სათქმელია, რა დაემართა საბურთალოს, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს მოქმედმა ჩემპიონმა ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩის საწყის 10 წუთში 3 გოლი გაუშვა და შერიფთან მოპოვებული უპირატესობა გაანიავა.

მოლდოველები საწყისი წუთებიდანვე აქტიურად რომ შეუტევდნენ, სავარაუდო იყო, თუმცა 2 მატჩის ჯამში მე-11 წუთზე თუ ანგარიშში თანაფარდობა იქნებოდა, ვინ წარმოიდგენდა?! ანგარიში მე-3 წუთზე გაიხსნა, როცა თბილისელთა საჯარიმოში არეულობით ლირიდონ ლაფიტიმ ისარგებლა და ომარ მიგინეიშვილის კარი აიღო. ჩვენებმა მე-2 გოლი მე-8 წუთზე მიიღეს, როცა კონტრშეტევიდან საჯარიმოში ჩაგდებული ბურთი გაგი მარგველაშვილმა საკუთარ კარში ჩაჭრა. საბურთალოს აზრზე მოსვლა არ დასცალდა, მე-11 წუთზე საკუთარი კარიდან დაწყებული სწრაფი შეტევა რობერტ ტამბემ ზუსტი დარტყმით დააგვირგვინა – 0:3.

საბურთალოს ამოსუნთქვა სჭირდებოდა, შესვენება იდეალური ვარიანტი იქნებოდა, თუმცა ტაბლოზე მე-12 წუთი ენთო... მასპინძლებს უნდა გაეძლოთ – ასეც მოხდა... თავდაპირველმა შოკმა გადაიარა, საბურთალო ბურთს დაეუფლა და მეტოქეს შანსები შეუმცირა. პირველი ტაიმი შექმნილ მდგომარეობაში იდეალურად დასრულდა – საბურთალომ აღარ გაუშვა.

შესვენებაზე გია ჭიაბრიშვილმა გუნდის თამაშში ცვლილებები შეიტანა. მეორე ნახევარში მასპინძლები მოედანზე ფსიქოლოგიურად უფრო მობილიზებულები გამოვიდნენ. საბურთალო გააქტიურდა და საგოლე ეპიზოდების შექმნა დაიწყო. თბილისელებს გოლი სჭირდებოდათ, თორემ საქმე დამატებით დრომდე მიდიოდა. იქ კი არავინ იცის, რა მოხდებოდა, მით უფრო, ფიზიკური შესაძლებლობებით ქართველები არასდროს გამოირჩევიან.

59-ე წუთზე ნანატრი გოლიც გამოჩნდა. კოხრეიძემ ბურთი საჯარიმოში გადაკიდა, რომელზეც იქ მყოფმა საბურთალოს ერთადერთმა ფეხბურთელმა ოგნიენ როლოვიჩმა დასწრებაზე ითამაშა და სხვაობა შეამცირა. 2 მატჩის ჯამში საბურთალო წინ გავიდა – 4:3.

73-ზე მოლდოველები კაცნაკლულნი დარჩნენ. მატეი პლაჩიჩმა კოხრეიძეზე უხეშობისთვის მე-2 ყვითელი ბარათი მიიღო და მოედანი დატოვა. ჭიაბრიშვილმა შეტევა კიდევ უფრო გააძლიერა და მინდორზე ჯერ გაბედავა, მერე კი შინდაგორიძე შემოუშვა. საბურთალოს მომენტების რაოდენობა გაიზარდა, თუმცა შერიფის კონტრშეტევები უკიდურესად მწვავე იყო. თბილისელებმა იომეს, მეტოქეს მსაჯის მიერ კომპენსირებულ 6 წუთშიც გაუძლეს და სადებიუტო სეზონშივე შემდეგ ეტაპზე გავიდნენ.

მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე კი, საბურთალო ზაგრების დინამოს დაუპირისპირდება. პირველი მატჩი თბილისში 23 ივლისს გაიმართება, ხოლო საპასუხო 30 ივლისს – ზაგრებში. ისიც უნდა ვთქვათ, რომ დინამო უეფას მიერ დასჯილია და უახლოესი 2 საერთაშორისო საშინაო მატჩი ცარიელი ტრიბუნების ფონზე უნდა ჩაატაროს. საქმე იმაშია, რომ 2019 წლის 1 აპრილს, ევროპალიგის შეხვედრაში ლისაბონის ბენფიკას მასპინძლობდა, როდესაც ხორვატმა გულშემატკივრებმა სხვადასხვა საგნები ისროლეს მოედანზე და რასისტულ ნიადაგზე შეურაცხყოფა მიაყენეს მეტოქე გუნდის ფეხბურთელებს.

გიორგი ჭიაბრიშვილი:

– პირველი მატჩის შემდეგ ძალიან ბევრს ვმუშაობდით, რომ ის არ მომხდარიყო, რაც 10 წუთში მოხდა. შეიძლებოდა, რომ ეს 10 წუთი გაგრძელებულიყო. მთავარი მიზეზი მეტოქის შეუფასებლობა და ფსიქოლოგიური უპირატესობა იყო, გვეგონა, რომ შემდეგ ეტაპზე უკვე გასული ვიყავით. ბოდიშის გიხდით გულშემატკივრებს ცუდი დასაწყისის გამო. სტადიონზე მოსულ ქომაგს სხვანაირი თამაში უნდა ეხილა, მაგრამ ეს ვერ მოვახერხეთ. მოწინააღმდეგემ გვაჯობა...

გასახდელში ბიჭებს ვუთხარი, რომ მობილიზებულიყვნენ და საკუთარი თამაში ეჩვენებინათ. შევეცადე მათთვის რწმენა დამებრუნებინა, ამ დროს ტაქტიკურ მონახაზებსა და სქემებზე საუბარი ზედმეტია. უბრალოდ ვცადე ფეხბურთელებისთვის მოტივაცია მომეცა, ისინიც დამშვიდდნენ და აჩვენეს ის ფეხბურთი, რომელსაც საბურთალო უნდა თამაშობდეს...

ზაგრების დინამოს ჩვენთან ძალიან დიდი უპირატესობა ექნებათ. მათ ხორვატიის ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელი ჰყავთ შემადგენლობაში. როცა საქართველო და ხორვატია სპორტული, საფეხბურთო, მედიის და სხვა კუთხით ერთ დონეზე იქნებიან, ტოლ-სწორ თამაშზე შემდეგ ვისაუბროთ. ამის მიუხედავად, ჩვენ გამარჯვებას შევეცდებით...

ზორან ზეკიჩი:

– პირველ რიგში, საბურთალოს ამ მნიშვნელოვან გამარჯვებას ვულოცავ და ჩემპიონთა ლიგაში წარმატებას ვუსურვებ. მადლობა მასპინძლობისთვის. ალბათ საბურთალომ ჩათვალა, რომ სუსტ მეტოქესთან ჰქონდა საქმე და საწყისი წუთები მოდუნებულმა დაიწყო, სწორედ ამის გამო გაუშვეს 3 გოლი...

სამწუხაროა, რომ პირველ მატჩში იმ თამაშის 50%-ც ვერ ვაჩვენეთ, რაც მეორეში. წინააღმდეგ შემთხვევაში შემდეგ ეტაპზე გავიდოდით...

მინდა საბურთალოს მე-10 ნომერი გამოვარჩიო, კოხრეიძე საოცრად თამაშობდა. ჩემი ბიჭები მის შეჩერებას ვერ ასწრებდნენ, სწორედ ამიტომ ჯარიმდებოდნენ ხშირად მის წინააღმდეგ. ის თანამედროვე ფეხბურთს იდეალურად თამაშობს. საბწუხაროა, რომ კოხრეიძე მეტოქის გუნდში თამაშობდა. საბურთალოს სხვა ფეხბურთელებიც ძალიან სწრაფი ჰყავს, რომელთა შეჩერებასაც ჩვენი მცველები ვერ ახერხებდნენ.

ჩვენს გუნდში ძირითადი შემადგენლობის წევრების უმეტესობა სულ რაღაც 20 დღეა რაც შემოგვიერთდა. ჩემს ფეხბურთელებს ყოველთვის ვეუბნები, რომ ერთი და იგივე შეცდომები არ დაუშვან და მაქსიმალურად მობილიზებულნი იყვნენ, თუმცა დღეს ეს არ მოხერხდა. საბურთალოს თამაშს 3-ჯერ ვუყურეთ, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდით, რომ ეს შედეგი დაფიქსირდებოდა. პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვიღებ.

20 წლამდე ნაკრები მეოთხედფინალის გზაზეა

როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონში კოსოვოც დაამარცხა და 4-დან 4 გამარჯვებით, ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე 1 ტურით ადრე, ჯგუფის ერთპიროვნული ლიდერია. მიუხედავად ლიდერობისა, მილოშ გლიგორიევიჩის განვრთნილ ჩვენს ნაკრებს ჯგუფიდან გასვლა ჯერ არ გაუნაღდებია. თუმცა ეს თეორიულად, ისე კი, დიდი სენსაცია უნდა მოხდეს, საქართველო ჯგუფის საუკეთესო 2 გუნდს შორის რომ ვერ მოხვდეს.

რაც შეეხება კოსოვოელებთან მატჩს, საქართველომ ის მოლოდინისამებრ იოლად – 86:52 მოიგო. ასევე მოსალოდნელი იყო, რომ მწვრთნელი ყველა კალათბურთელს გაიყვანდა მოედანზე და მათ სათამაშო დროს დაახლოებით თანაბრად გადაუნაწილებდა. ასეც მოხდა. ყველაზე მეტი (23 წუთი) რატი ანდრონიკაშვილმა ითამაშა, ხოლო ყველაზე ნაკლები (10 წუთი) – ბერდია ქავთარაძემ. სომხეთის შემდეგ კოსოვო გახლდათ მე-2 მეტოქე, რომელთან მატჩიც საქართველოს მწვრთნელთა შტაბმა ტაქტიკა-სტრატეგიის დასამუშავებლად კარგად გამოიყენა.

მეორე მეოთხედში კოსოვოელები ცოტა გაგვიძალიანდნენ და 10-წუთეული ფრედ – 20:20 დაგვიმთავრეს, თუმცა მანამდე 10 ქულას აგებდნენ და მესამეში ქართველებმა რომ მეტი მონდომებით მოჰკიდეს ხელი შეტევების დაგვირგვინებას, ანგარიშში სხვაობა გეომეტრიული პროგრესიით გაიზარდა. ჩვენმა ნაკრებმა მეორე ნახევარი 47:23 მოიგო და საბოლოოდ 34 ქულის სხვაობით გაიმარჯვა.

საქართველოს ნაკრებს გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყოლია. ეფექტურობის კოეფიციენტით საუკეთესო ნიკა მეცხვარიშვილი იყო – 8 ქულა, 5 მოხსნა, 5 ჩაჭრა, 2 პასი. 8 ქულა, 9 მოხსნა და 2 ჩაჭრა მიითვალა ივანე მეგენეიშვილმა, ხოლო ბომბარდირი 12 ქულით ლუკა მაზიაშვილი გახდა. რატი ანდრონიკაშვილის ანგარიშზე 10 ქულა, 5 მოხსნა და 4 პასი დაგროვდა.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველებს 4-დან 4-ივე მატჩი აქვთ მოგებული, როგორც გითხარით, ჯგუფის საუკეთესო 2 გუნდში ადგილი გარანტირებული არ აქვთ. თუმცა ეს მხოლოდ თეორიულად, პრაქტიკულად კი საქართველო მეოთხედფინალში თითქმის გასულია. ქართველები ჯგუფიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში ვერ გავლენ, თუ ესტონეთთან 20 ქულით და მეტით წააგებენ. 19-ქულიანი მარცხის შემთხვევაშიც კი მილოშ გლიგორიევიჩის გაწვრთნილი გუნდი საუკეთესო 2 გუნდს შორის მოხვდება.

შეჯეგები

16 ივლისი

ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

შკენდია-კალიუ	1:2
საბურთალო-შერიფი	1:3
ვალეტა-დუდელანჟი	1:1
ტორსჰავნი-ჰიკი	2:2
ფერონიკელი-ტნს	0:1
ცრვენა ზვეზდა-სუდუვა	2:1

უეფას ევროპის ლიგა

ბანანცი-ჩუკარიჩკი	0:5
კლასვიკი-რიტერიაი	0:0
ტიტოგრადი-ცსკა (ს)	0:0

ხელბურთელ გოგონათა ნაკრებმა ორი მატჩი წააგო

ლიეტუვის ქალაქ კლაიპედაში, საქართველოს გოგონათა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე 2 მატჩი გამართა და ორივე წააგო.

ჩემპიონატის ასაკობრივი ცენზია 19 წლამდე, ხოლო ჩვენი გუნდის 16-დან 13 ხელბურთელი 17-წლამდელთა ნაკრების წევრია. შესაბამისად, ლიეტუვაში გუნდს მიზნად აქვს მზადება 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატისთვის, რომელიც 3-11 აგვისტოს გაიმართება თბილისის სპორტის სასახლეში.

პირველი მატჩი 15:29 წააგო მაკედონიასთან. დასაწყისში საქართველო თავიდან 3:1 დაწინაურდა, მაგრამ შემდეგ კრიზისი დაუდგა და დარჩენილ დროში მხოლოდ 1 გოლის გატანა მოახერხა. მეტოქემ კი მოინდომა და პირველი ტაიმი კი უჩვეულო ანგარიშით, 11:4 დასრულდა.

მეორეში საქართველოს ნაკრებმა 11 გოლი გაიტანა და 18 გაუშვა. ჩვენი გუნდიდან საუკეთესო მოთამაშის პრიზი მიიღო ნენო ჯგერენაიამ, რომელმაც 7 გოლი გაიტანა.

ჩვენებმა მეორე მატჩი 15:21 წააგეს მასპინძლებთან.

პირველი ტაიმის შემდეგ ანგარიში თანაბარი იყო – 10:10. საქართველო თავიდან 2:0, 3:1 დაწინაურდა, ლიეტუვა კი პირველად 21-ე წუთზე გავიდა წინ (6:5), თუმცა, კარგად თამაშობდა მეკარე ჯიქურაშვილი, ჯგერენაიამ პირველ ნახევარში 6 გოლი გაიტანა და 10:8 ვიგებდით, მასპინძლებმა მხოლოდ ტაიმის ბოლო წუთზე გაათანაბრეს ანგარიში.

გადამწყვეტი გამოდგა მეორე ტაიმის საწყისი 10 წუთი, როდესაც ლიეტუვამ ზედიზედ 6 გოლი გაიტანა – 16:10. ზუსტად ამ მონაკვეთში კი ქართველებს 6 დარტყმა გაუცუდდათ კუთხის პოზიციიდან. მიუხედავად ამისა, მოედანზე შემოსულმა მეკარე ჩავჩიძემ რამდენიმე ბურთი მოიგერია და სხვაობა შემცირდა. სირენამდე 15 წუთით ადრე ანგარიში 13:16 იყო, როდესაც შვიდმეტრიანი ვერ გავიტანეთ და ამის შემდეგ ლიეტუვას გუნდს უპირატესობა აღარ დაუთმია – 21:15.

საქართველოს ნაკრებიდან საუკეთესო მოთამაშის პრიზი ზედიზედ მეორედ მიიღო ნენო ჯგერენაიამ.

ჩვენს ჯგუფში შვეიცარიამ 34:22 დაამარცხა მაკედონია (მანამდე ლიეტუვას 31:21 მოუგო) და ნახევარფინალში გასვლა გაინაღდა. მეორე საგზურისთვის ითამაშებენ ლიეტუვა და მაკედონია. მეორე ჯგუფში ორივე ნახევარფინალისტი გაირკვა: ჩეხეთი და თურქეთი პირველობისთვის იბრძოლებენ, ხოლო კოსოვო და ფარერის კუნძულები – მე-5-8 ადგილებისთვის.

ლევანდოვსკი ტოპ ფეხბურთელს ითხოვს

მიუნხენის ბაიერნის თავდამსხმელი რობერტ ლევანდოვსკი გერმანულ მედიასთან საუბარში აღნიშნავს, რომ „რეკორდმაისტერისათვის“ აუცილებელია ტოპ-ტრანსფერების განხორციელება, წინააღმდეგ შემთხვევაში ტიტულებისთვის ბრძოლა წარმოუდგენელი იქნება.

ლევანდოვსკი პირველი ფეხბურთელი არ არის, რომელმაც მსგავსი განცხადება გააკეთა. მანამდე კლუბის ხელმძღვანელობას იგივე მანუელ ნოიერმაც შეახსენა.

რობერტ ლევანდოვსკი:

– თუ გსურს უმაღლეს დონეზე იასპარეზო და ტიტულებს დაეუფლო, აუცილებელია შემადგენლობის გაძლიერება. სწორედ ამიტომ ველით ტრანსფერებს, წინააღმდეგ შემთხვევაში რთული იქნება ტიტულების მოგება. იმედს ვიტოვებ, ხელმძღვანელობა და ის ხალხი, რომელიც ტრანსფერებზე მუშაობს გააძლიერებს გუნდს, როგორც ახალგაზრდა ფეხბურთელებით, ისე იმ მოთამაშეებით, რომლებიც დღესდღეობით მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელებად ითვლებიან. იმედია, სწორედ ეს მოხდება უახლოეს დღეებში.

მიმდინარე სატრანსფერო პერიოდში ბაიერნმა 3 ტრანსფერი განახორციელა. ლუკას ერნანდესის, ბენჟამენ პავარის და იან ფიტე არპის გაფორმება ბავარიელებს 118 მილიონი ევრო დაუჯდა, თუმცა, როგორც კარლ-ჰაინც რუმენიგემ განაცხადა, ეს ყველაფერი არ არის და გუნდი ტოპ-ფეხბურთელის შეძენაზე მუშაობს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

2019, 18 ივლისი, №168

აბურჯანია ტვენტეში გადავიდა

საქართველოს ნაკრების 24 წლის ნახევარმცველი გიორგი აბურჯანია კარიერას ჰოლანდიის ჩემპიონატში გააგრძელებს. უკვე ვაანონსებდით, რომ აბურჯანიას შეძენით ენსხედეს ტვენტე იყო დაინტერესებული და საბოლოოდ, შეთანხმება შედგა.

ქართველი ფეხბურთელი, რომლის სატრანსფერო უფლებები ესპანურ სევილიას ეკუთვნის, ჰოლანდიური გუნდის ღირსებას 2 წლის განმავლობაში, ივჯარის წესით დაიცავს. ამასთან, ტვენტეს აბურჯანიას გამოსყიდვის უფლებაც ექნება.

გიორგი აბურჯანია:

– ეს არ იყო რთულად გადასადგმელი ნაბიჯი, რადგან ტვენტეში გადასვლა მსურდა. ტვენტე დიდი კლუბია, დიდი ისტორიითა და ბრწყინვალე სტადიონით. გასულ სეზონში თვალი ვადევნე ამ გუნდის გამოსვლას და ვნახე, როგორც გახდნენ ჩემპიონები ერსტე დივიზიეში. მუდმივად ივსებოდა სტადიონი. სევილიიდან ვიცნობ აიტორს, რომლისგანაც ტვენტეზე ბევრი მსმენია. სულმოუთმენლად ველი, როდის ვითამაშებ კლუბის მაისურით.

აბურჯანიამ პროფესიონალური კარიერა რუსთავის მეტალურგში დაიწყო, რის შემდეგაც თბილისის ოლიმპიკში, გორის დილასა და თბილისის ლოკომოტივში ითამაშა. გიორგის პირველი უცხოური კლუბი კვიპროსული ანორთოსისი იყო, საიდანაც 2016 წელს ესპანეთში, ხიმნასტიკში გადავიდა. 2016 წლის აგვისტოში, გიორგი ხიმნასტიკისგან სევილიამ 1.8 მილიონ ევროდ შეიძინა. სევილიას მე-2 გუნდში თამაშის შემდეგ, ანდალუსიურმა კლუბმა შარშან იგი ლუგოში გაანათხოვრა.

ტვენტე კი, გასულ სეზონში ჰოლანდიის რანგით მე-2 ლიგა – ერსტე დივიზიე მოიგო და ელიტაში დაბრუნდა. ტვენტე ერედივიზიეს 2019-20 წლების სეზონს 3 აგვისტოს, პსვ ეინდჰოვენთან საშინაო მატჩით დაიწყებს.

კლუბის ტექნიკური დირექტორი ტედ ვან ლივენი და მწვრთნელი გონსალო გარსია აბურჯანიას კარგად იცნობენ, რადგან ფამაგუსტას ანორთოსისში ერთად მუშაობდნენ.

ვან ლივენი გიორგის ასე ახასიათებს:

– აბურჯანია დიდი ხანია ტვინტეს სამიზნეშია. აბუსაც ძალიან სურდა ჩვენთან თამაში. მისი გადმოყვანა იოლი არ იყო, მაგრამ ბოლოს ყველაფერი მოგვარდა. ის არის ნახევარმცველი უდიდესი პოტენციალით.

გეტყვით იმასაც, რომ ტვენტეს ღირსებას 2003-06 წლებში გიორგი გახოკიძე იცავდა. ასე რომ, ეს კლუბი ქართველებისთვის უცხო არ არის...

ინტერპოლი ალიგატორების შესაძლო განარკომანებამ შეაშინა

ამერიკის ტენესის შტატის ქალაქ ლორეტოს პოლიციის დეპარტამენტმა მოსახლეობას მოუწოდა კანალიზაციაში არ ჩაუშვან ნარკოტიკები.

ფეისბუქში დეპარტამენტის გვერდზე საუბარია კანალიზაციაში მეტამფეტამინის ჩაშვების წარუმატებელი მცდელობის შესახებ, რომელიც ერთ-ერთმა ეჭვმიტანილმა მის სახლში მიმდინარე ჩხრეკის დროს ცადა. წერილის ავტორი შეეცადა გაფრთხილება გაეკეთებინა ასეთი ქმედების შესაძლო შედეგებთან დაკავშირებით.

ის ვარაუდობს, რომ კანალიზაციიდან ნარკოტიკული ნივთიერებები მოხვდება წყალსატევებში.

– იქ მიდიან იხვები, ბატები, სხვა ფრინველები და იმის წარმოდგენაზეც კი ტანში გვცრის, თუ რისი გაკეთება შეუძლია ნარკოტიკული თრობის ქვეშ მყოფ ფრინველს, – ნათქვამია წერილში, – უფრო მეტიც, თუ ნარკოტიკები კიდევ უფრო შორს გავრცელდება, ჩვენი ბრალი იქნება იმაში თუ მეტამფეტამინით გაბრუებული ალიგატორები გამოჩნდებიან შოელ-კრიკში და მდინარე ტენესიში.

ბიოლოგმა კენტ ვლიეტმა, რომელიც ალიგატორების შესწავლითაა დაკავებული, ასეთი საფრთხის არსებობის რეალურობაში ეჭვი შეიტანა. მისი მტკიცებით, მეტამფეტამინის წყალში მოხვედრის შემდეგ ის იმდენად იქნება მასში გახსნილი, რომ ცხოველებზე ვერანაირ ზემოქმედებას ვერ მოახდენს.

მოამზადა
კახა ხატიაშვილმა

იაპონელებმა მედლებისთვის 32 კილოგრამი ოქრო შეაგროვეს

ტოკიო 2020-ის საორგანიზაციო კომიტეტმა ოლიმპიური და პარაოლიმპიური თამაშებისთვის საჭირო 5.000 მედლის დასამზადებლად ძველი ელექტრომოწყობილობებიდან ძვირფასი ლითონის შეგროვება დაასრულა.

ტოკიოს ოლიმპიური თამაშების მასპინძლებმა 2 წლის განმავლობაში სმარტფონებიდან, კომპიუტერებიდან და სხვა გაჯეტებიდან 32 კილოგრამი ოქრო, 3,5 ტონა ვერცხლი და 2,2 ტონა ბრინჯაო ამოიღეს.

ტექნიკის შემგროვებელ სპეციალიზებულ ცენტრებში იაპონელებმა დაახლოებით 78.985 ტონა ელექტრომოწყობილობა, მათ შორის 6,21 მილიონი სმარტფონი ჩააბარეს.

საინტერესოა, რომ ერთ-ერთ სპორტსმენს შეხვდება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ თომას ბახის მიერ ჩაბარებული მობილურისგან დამზადებული მედალი.

მოთხოვნათა თანახმად, უმაღლესი სინჯის მედლები უნდა ჩამოისხას ვერცხლისგან, რომელიც ამოვლებული უნდა იყოს არანაკლებ 6 გრამ სუფთა ოქროში.

აღსანიშნავია ასევე, რომ ტოკიოს ოლიმპიური და პარაოლიმპური თამაშების პრიზიორთა კვარცხლბეკები გადამუშავებული ნარჩენებისგან დამზადდება.

100 კვარცხლბეკის დასამზადებლად დაახლოებით 45 ტონა პლასტიკია საჭირო. აღსანიშნავია, რომ ოლიმპიურ თამაშებზე კვარცხლბეკების დასამზადებლად მეორად ნედლეულს პირველად გამოიყენებენ.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

კულინარიული კუთხე

ხინკალი კახურად

მასალა: ცხვრის ან ძროხის ხორცი – 1 კილოგრამი; ფქვილი – 1 კილოგრამი; ხახვი – 4-5 თავი; მწვანილი – 3-4 ძირი; კვერცხი – 2 ცალი; მარილი, პილპილი – გემოვნებით.

მომზადება: თეთრი პურის ფქვილით, კვერცხითა და ცივი მარილწყლით მოვზილოთ ჩვეულებრივი მაგარი ცომი. მოვამზადოთ გულსართი შემდეგნაირად: მსუქანი ცხვრის ან ძროხის ხორცის რბილი ნაჭრები ორჯერ გავატაროთ ხორცსაკეპ მანქანაში ხახვთან ერთად. შევაზავოთ დაკეპილი ოხრახუშით, ქინძით, შავი პილპილით, მარილით; დავზილოთ და გავაზავოთ წყლით. როდესაც გულსართი მზად იქნება, ცომი გავაბრტყელოთ, ამოვჭრათ თანაბარი ზომის რგოლები, შუა ადგილზე დავაწყოთ თითო კოვზი გულსართი, მოვუკრათ პირი ისე, როგორც ზევით არის აღწერილი და ჩავუშვათ მარილით შეზავებულ მდუღარე წყალში. დუღილის დროს ქვაბი ვატრიალოთ, რომ ხინკალი ძირზე არ მიიკრას. როცა მზად იქნება, ხინკალი ამოვალაგოთ ქაფქირით და სუფრაზე მივიტანოთ დანაყილ პილპილთან ერთად.

❖ ❖ ❖

საცივი ჩახლილი კვერცხით

მასალა: ნიგოზი – 300 გრამი; ხახვი – 4-5 თავი; წყალი – 6 ჩაის ჭიქა; კვერცხი – 5-6 ცალი; ქინძი, ნიორი, წიწაკა, ძმარი, მიხაკ-დარიჩინი, მარილი – გემოვნებით.

მომზადება: ნიგოზი დავნაყოთ, გამოვხადოთ ზეთი, ჩავასხათ ქვაბში, დავუმატოთ წინასწარ ძალიან წვრილად დაჭრილი ხახვი და მოვშუშოთ.

ქინძი, ნიორი, წიწაკა, მარილი ერთად დავნაყოთ, დავუმატოთ დანაყილი მიხაკ-დარიჩინი, ძმარი და დანაყილ ნიგოზში ავურიოთ. მიღებული მასალა გავხსნათ 6 ჩაის ჭიქა ცხელ წყალში, დავასხათ მოშუშულ ხახვს და 15 წუთი ვადუღოთ. მერე მდუღარე წვენში სათითაოდ ჩავახალოთ მთლიანი კვერცხები და, როგორც კი კვერცხი მოიხარშება, ქვაბი გადმოვდგათ ცეცხლიდან.

❖ ❖ ❖

მოშუშული კარტოფილი ბადრიჯნით

მასალა: კარტოფილი – 1 კილოგრამი; ბადრიჯანი – 800 გრამი; პამიდვრის პიურე – 100 გრამი; მწვანე წიწაკა – 1-2 ცალი; მცენარეული ზეთი – 200 გრამი; მარილი – გემოვნებით.

მომზადება: ბადრიჯანი გავთალოთ, დავჭრათ თხელ მრგვალ ნაჭრებად, მოვაყაროთ მარილი და ცოტა ხანს ასე გავაჩეროთ. შემდეგ გავწუროთ ხელით, მოვათავსოთ ქვაბში, დავუმატოთ ცხიმი და მოვშუშოთ. ჩავუმატოთ გათლილი, თხელ ნაჭრებად დაჭრილი კარტოფილი და განვაგრძოთ შუშვა კარტოფილის დარბილებამდე. შემდეგ დავუმატოთ მარილი, პამიდვრის პიურე, ძალიან წვრილად დაჭრილი გათუთქული თესლგამოცლილი მწვანე წიწაკა, ცხიმი და ვშუშოთ 5 წუთის განმავლობაში.

❖ ❖ ❖

ცომში შემწვარი ვაშლები

მასალა: ვაშლი – 500 გრამი; შაქარი – 20 გრამი; ფქვილი – 120 გრამი; კვერცხი – 3 ცალი; რძე – 0,5 ჩაის ჭიქა; არაჟანი – 60 გრამი; შაქრის პუდრა – 60 გრამი; კარაქი – 60 გრამი.

მომზადება: ვაშლები გავრეცხოთ, გავფცქვნათ, ამოვაჭრათ გულები, დავჭრათ 0,5 სმ სისქის წრეებად და მოვაყაროთ შაქრის პუდრა.

ცომის მომზადება: მსუბუქად ავთქვიფოთ კვერცხის გულები, შაქარი, არაჟანი და ფქვილი, რძით განვაზავოთ სქელი არაჟნის კონსისტენციამდე. ცილები ავთქვიფოთ და ცომში შევურიოთ. გავაცხელოთ კარაქიანი ტაფა. ვაშლის რგოლები ამოვავლოთ ცომში და ორივე მხრიდან შევწვათ ოქროსფერი ქერქის წარმოქმნამდე. გაციებულს მოვაყაროთ შაქრის პუდრა.

❖ ❖ ❖

უბრალო ღვეზელი

მასალა: შაქრის ფხვნილი – 1 ჭიქა; კარაქი – 1 სუფრის კოვზი; კვერცხი – 3 ცალი; არაჟანი – 1 ჭიქა; ფქვილი – 1 ჭიქა; მურაბა – 1კოვზი; ნიგოზი – 1/4 ჭიქა; სოდა – ნახევარი ჩაის კოვზი.

მომზადება: შაქრის ფხვნილი, კარაქი და კვერცხი კარგად ავთქვიფოთ, დავუმატოთ არაჟანი, სოდა, მურაბა, ნიგოზი და ვურიოთ. შემდეგ მოვაყაროთ ფქვილი, კარგად ავურიოთ, გადავიტანოთ მიღებული მასა კარაქწასმულ, პერგამენტიან ტაფაზე. გამოვაცხოთ ნელ ცეცხლზე 30-35 წუთის განმავლობაში.

ასტროპროგნოზი

18 ივლისისთვის

ვერძი – კოლეგებთან და პარტნიორებთან გაუგებრობა თქვენს საქმიანობაზე ნეგატიურად აისახება. სასიცოცხლო პოტენციალი მცირდება. ახალი საქმის დაწყება რეკომენდებული არ არის. **კურო** – ერიდეთ საქმის გარჩევას საყვარელ ადამიანთან. სამსახურში ძალზე ყურადღებიანი და ფრთხილი უნდა იყოთ. **ტყუპები** – კეთილისმყოფელი დღეა. გიმართლებთ ბიზნესში, ვაჭრობაში. გელით მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. **კირჩხიბი** – იზრუნეთ კარიერულ წინსვლაზე. თქვენი მიზანდასახულობა და შრომისმოყვარეობა დაფასდება. **ლომი** – წინაალმდეგობრივი დღეა. შესაძლოა, გეგმები შეგეცვალოთ. დაუფიქრებელ ნაბიჯს ნუ გადადგამთ. **ქალწული** – ყურადღებით იყავით, განსაკუთრებით – სამსახურში. წინდაუხედაობამ, შესაძლოა, დაგაზარალოთ. **სასწორი** – მეგობრები და ახლობლები ნებისმიერ სიტუაციაში დაგეხმარებიან. მიენდეთ მათ. **ღრიანკალი** – ნუ აჩქარდებით. სიტუაცია გულმოდგინედ გააანალიზეთ და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მხოლოდ ამის შემდეგ მიიღეთ. **მშვილდოსანი** – კომერციულ საქმიანობაში გიმართლებთ. ვარსკვლავების განლაგება ამაში გეხმარებათ. **თხის რქა** – თქვენს თავშეკავებასა და გონიერებაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ერიდეთ ემოციების გამოხატვას. **მერწყული** – ენერგია გემატებათ. ჯანმრთელობას უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. ჩანაფიქრის განხორციელებას ადვილად მოახერხებთ. **თევზები** – ეცადეთ, საკუთარ გრძნობებში გაერკვეთ. თამამად გარისკეთ. ახალი საქმის დაწყებაში პლანეტები ხელს გიწყობენ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. ქართველ პოეტ ნიკო რაზიკაშვილის ფსევდონიმი; 2. ორსახოვანი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 3. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური ხორვატიაში; 5. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი; 6. კუთხე საქართველოში; 8. ციხე-სიმაგრე მესხეთში; 11. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 13. საჭმელი ზეთით მდიდარი, მსხლის ფორმის მქონე ტროპიკული მცენარე; 14. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი სასტუმროების ქსელის მფლობელი ფირმა; 15. შექსპირის ტრაგედია; 19. ბრიტანული ლუდხანა.

თარაზულად: 1. ჩეხური ლუდი; 4. ნიკოტინის შემცველი ერთწლიანი ბალახოვანი მცენარე; 7. მუნჯი კინოს კომიკოსი; 9. ტბა საქართველო-თურქეთის საზღვარზე; 10. სპორტული სირბილი დაბრკოლებათა გადალახვით; 12. გერმანული ელექტრო-ტექნიკური კომპანია; 16. სადავო საკითხის საჯარო განხილვა, კამათი; 17. მაღალხარისხოვანი, არომატული სპირტიანი სასმელი; 18. ცნობილი დანიელი კარიკატურისტი; 20. ძველებური, სახელურიანი, დასაკეცი სათვალე; 21. გერმანელი მიკრობიოლოგი, ბაქტერიოლოგიისა და ეპიდემიოლოგიის ფუძემდებელი; 22. საწყლოსნო სპორტის ერთ-ერთი სახეობა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. რეზერვი; 2. სემინარია; 3. ციხეგოჯი; 4. ბორუსია; 5. ტეხასი; 9. შუამთა; 11. რანდევუ; 12. აილამა; 14. კრახუნა; 18. იგავი; 19. მუაში.

თარაზულად: 4. ბედეგი; 5. ტაკელაჟი; 6. გიენა; 7. პროთეზი; 8. ბინოში; 10. სევრი; 13. ვაკისი; 15. არმანი; 16. ჯიდა; 17. პაპი; 20. ხანუმა; 21. კაკადუ; 22. ვივიენი; 23. შულერი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ხახული; 2. ჩედერი; 3. რომბი; 5. თუჯი; 6. ლიახვი; 8. ლორისი; 11. ზავენტემი; 13. პრელატი; 14. სოკრატე; 15. ტიციანი; 19. დასი.

თარაზულად: 1. ხელვაჩაური; 4. მუხთალი; 7. ხავერდი; 9. ბომონდი; 10. აზარი; 12. ელინისტი; 16. უილიამსი; 17. ჰეფნერი; 18. კროსვორდი; 20. მიამიტი; 21. კივი; 22. მაყრიონი.

გიორგი გასვიანი საავადმყოფოში მოხვდა



მსახიობი და ტელეწამყვანი გიორგი გასვიანი საავადმყოფოში მოხვდა.

მას ხერხემალზე თიაქრის ოპერაცია ექიმმა გიგა ჭაჭიამ ინოვას სამედიცინო ცენტრში გაუკეთა.

მსახიობის პოსტოპერაციული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და ის თავს კარგად გრძნობს:

– ხერხემლის თიაქრის ოპერაცია გავიკეთე. ნარკოზიდანაც გამოვედი. კარგად ვარ, მიყვარხართ. მადლობა ექიმს გიგა ჭაჭიას.

თეა დარჩიას ახალი ცეკვა გააკრიტიკეს

„სუხიშვილების“ მოცეკვავის თეა დარჩიას ახალი ცეკვა გააკრიტიკეს.

თეამ თავის აღსაზრდელებთან ერთად ცეკვა დადგა და 20 ივნისის ღამეს მიუძღვნა. თეამ და მისმა მოცეკვავეებმა ცალ თვალზე ხელაფარებულებმა იცეკვეს.

სპეციალურად დადგმულმა ცეკვამ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, ნაწილმა მოცეკვავის გადაწყვეტილება მოიწონა, ნაწილმა კი მიიჩნია, რომ თვითონ შეეძლო რაც უნდოდა ის ეცეკვა, მაგრამ ბავშვები ამაში არ უნდა ჩაერთო. საზოგადოების ნაწილის აზრით, ეს ბავშვთა უფლებების დარღვევაა. მოცეკვავეს ზოგმა ნაცი უწოდა და ზოგმა – ქოცი.

თეა დარჩია:

– მე არც ნაცი ვარ და არც ქოცი. მე ქართველი ვარ, რომელიც ცეკვით გამოხატავს პროტესტს ნებისმიერი ძალადობისა და ოკუპაციის წინააღმდეგ!

თეონა კონტრიძეზე ნადირობა დაიწყო

მომღერალი თეონა კონტრიძე აცხადებს, რომ მასზე ნადირობა დაიწყო.

ამის მიზეზი კი ერთ-ერთ ქართულ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული მისი ყალბი „ინტერვიუა“, რომელიც მისი არ არის:

– ეს ინტერვიუ ჩემი არაა! მე ეს ინტერვიუ არ მიმიცია. ეს ტყუილია. დეზინფორმაციაა. აფერიზმია. ამ სიტყვების წყობას არა აქვს კავშირი ჩემთან. თბილისში ჩამოსვლისთანავე გიჩივლებთ და დავახურინებ თქვენს მატყუარა რესურსს!

ვგრძნობ, დაიწყო ჩემზე ნადირობა... აუ, ზაფხულმა ჩანვლოს და ჩემდა თავად მანდ ფეხის ჩამომდგმელის...

ბათუმის შავი ზღვის ჯაზფესტივალს კორი ჰენრი გახსნის

შავი ზღვის რიგით მე-13 ჯაზ ფესტივალს ბათუში 18 ივლისს კორი ჰენრი გახსნის.

გოსპელის, ჯაზისა და ფანკის ცნობილმა ამერიკელმა შემსრულებელმა, ვოკალისტმა, ორღანისტმა და პიანისტმა, გრემის ჯილდოს მფლობელმა კორი ჰენრმა სპეციალური პროგრამა მოამზადა. კორი ჰენრის სინგლები ჯაზისა და გოსპელის საუკეთესო ალბომების ნომინაციებშია დასახელებული.

20 ივლისის ჩათვლით ჯაზფესტივალზე დამსწრე მსმენელის წინაშე წარდგებიან ჯგუფი მოკუმოკუ, ემპ ფიდლერი, ინკოგნიტო.

შავი ზღვის რიგით მე-13 ჯაზფესტივალის ოფიციალური დიჯეი დიჯეი მაჩაიძეა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

უფლისციხეში თამარის დარბაზი ვანდალებმა დაამახინჯეს

ქართულ კულტურულ ძეგლებზე საკუთარი სახელის და გვარის დატოვების ტრადიცია წლებია არსებობს. გამონაკლისი არც უფლისციხის თამარის დარბაზია.

ადგილზე ჩასულმა ვლას ვაწაძემ სხვადასხვა ადამიანის მიერ სხვადასხვა წელს დატოვილი საკუთარი ინიციალები აღმოაჩინა. მათ შორის – ცნობილი რუსი ბარიტონის ლეონიდ იაკოვლევის და ცნობილი რუსი გეოლოგი მიხეილ შვეცოვის.

ვლასი ვაწაძე:

– უფლისციხე. თამარის დარბაზი. თამარის დარბაზი „მდიდარია“ ვანდალური წარწერებით. ყოველ მათგანს თავისი ისტორია აქვს.

დარბაზში ვხდებით რუსულენოვან წარწერებსაც, მათ შორის ვინმე მ. შვეცოვისა. მოვიძიე ინფორმაცია და აღმოჩნდა, რომ ეს შევცოვი, ცნობილი გეოლოგია, რომელიც იკვლევდა ცარცულ პერიოდს, 1910-1915 წლების პერიოდში იმოგზაურა საქართველოში, იკვლევდა აფხაზეთს და ამ მოგზაურობის დროს ეწვია უფლისციხეს, სადაც საკუთარი სახელი და გვარი ამოკაწრა თამარის დარბაზში...

ლ. იაკოვლევი 1884 წელი. უფლისციხე. თამარის დარბაზი. ცნობილი რუსი ბარიტონი, რომელმაც საკუთარი სახელი და გვარი თამარის დარბაზში კედელზე ამოკაწრა!



„ევრიმაჟში“ საქართველოს წარმომადგენელი ნინო კირთაძე იქნება

ცნობილი ქართველი რეჟისორი, სცენარისტი და მსახიობი ნინო კირთაძე „ევრიმაჟში“ საქართველოს წარმომადგენელი იქნება. მან ამ თანამდებობაზე თამარ ტატიშვილი შეცვალა, რომელიც 8 წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის ინტერესებს „ევრიმაჟში“ იცავდა.

საქართველო „ევრიმაჟის“ წევრი ქვეყანა 2011 წელს გახდა. ამ წლების მანძილზე დაფინანსდა 15 ქართულ-უცხოური კოპროდუქცია. ფონდის მიერ ქართული პროექტების დასაფინანსებლად გაიცა 3 092 322 ევრო.

1997 წლიდან ნინო კირთაძე ცხოვრობს და მოღვაწეობს პარიზში. რეჟისორობამდე ის აქტიურად იყო ჩართული ჟურნალისტურ საქმიანობაში, მუშაობდა კონფლიქტის ზონებში და აშუქებდა ჩეჩნეთის, ყარაბახისა და აფხაზეთის ომების მიმდინარეობას.

ნინოს სარეჟისორო დებიუტი საფრანგეთში შედგა. დღეს იგი ევროპაში აღიარებული რეჟისორია, ხუთჯერ არის დაჯილდოებული ფრანგული არტ ჰაუსის რეჟისორსცენარისტთა გილდიის მიერ, ოთხჯერ აქვს მიღებული წლის საუკეთესო ფილმის პრიზი საფრანგეთში, არის გერმანიის „ოქროს გრიმეს“ მფლობელი. ნინოს არაერთი პრიზი აქვს მიღებული პრესტიჟულ საერთაშორისო კინოფესტივალებზე, მათ შორის საუკეთესო რეჟისორის ჯილდო სანდენსის კინოფესტივალზე და ევროპული კინოაკადემიის ოსკარი.

როგორც მსახიობი ნინო კირთაძე პირველად გამოჩნდა ნანა ჯორჯაძის ფილმში „შეყვარებული კულინარის ათასერთ რეცეპტი“, სადაც ის პარტნიორობას პიერ რიშარს უწევდა. ნინო მუშაობდა ისეთ მსახიობებთან, როგორებიც არიან ვიტორიო გასმანი, ბენ კასარა, ჟაკ დიუტრონი და შარლოტ რემპლინგი.

ამჟამად ნინო თავისი ახალი ფილმის წარმოებას ასრულებს, მუშაობს ორი მხატვრული ფილმის სცენარზე და აქტიურად თანამშრომლობს საფრანგეთისა და შვეიცარიის კინოსკოლებთან და კოლუმბიის უნივერსიტეტთან, როგორც პროფესორი. ნინო კირთაძის ხელმძღვანელობით 40-მდე ფილმია შექმნილი, რომელთაც საერთაშორისო წარმატება ხვდა წილად.

ᲥᲐᲚᲕᲘᲓᲝᲡᲙᲝᲠᲘ

მეგან მარკლი მძიმე სამეფო ცხოვრებაზე აწუწუნდა

სასექსის ჰერცოგინია მეგან მარკლმა დაიჩივლა, რომ გარკვეულ სირთულეებს გადააწყდა ბრიტანეთის პრინც ჰარიზე დაქორწინების შემდეგ.

მეგან მარკლი და პრინცი ჰარი მულტფილმ „მეფე ლომის“ პრემიერაზე მივიდნენ. წითელ ხალიჩაზე ისინი რამდენიმე მსახიობს, რომლებიც მულტფილმის პერსონაჟებს ახმოვანებდნენ და ასევე მომღერალ ფარელ უილიამსს შეხვდნენ, რომელიც საუნდტრეკის ჩაწერაში მონაწილეობდა.

– ძალიან მახარებს თქვენი კავშირი, – უთხრა უილიამსმა ჰერცოგინიას, – სიყვარული საოცარი რამ არის.

მომღერალმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მეგანი და ჰარი დღევანდელ ვითარებაში უმნიშვნელოვანესები არიან.

– უბრალოდ მინდოდა მეთქვა, თუ ამას რამხელა მნიშვნელობა აქვს მრავალი ჩვენგანისთვის, – განმარტა მომღერალმა, – სერიოზულად. ჩვენ ყველანი ტაშს გიკრავთ.

– გმადლობთ. ისინი ამას არ აადვილებენ, – უპასუხა ჰერცოგინიამ. ხოლო ვის გულისხმობდა, მეუღლის ნათესავებს, ჟურნალისტებს თუ კიდევ ვინმე სხვებს, არ დაუზუსტებია.

ზოოპარკის დამთვალიერებლებმა პანდას ქვები დაუშინეს

პეკინის ზოოპარკის დამთვალიერებლებმა დიდ პანდას ქვები იმისთვის დაუშინეს, რომ აეძულებინათ ემოძრავა.

ქალმა, რომელიც ამ უმსგავსობის თვითმხილველი გახდა, მომხდარი ვიდეოზე გადაიღო და სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა. მისი თქმით, მან 30 წუთში ორი მამაკაცი შენიშნა, რომლებიც ცხოველს ქვებს ესროდნენ.

ზოოპარკის დირექცია ირწმუნება, რომ პანდა სახელად მენდა, რომელიც ხულიგნების თავდასხმის ობიექტი გახდა, აღნიშნული ინციდენტის შედეგად არ დაშავებულა. ის ისევე აგრძელებს ცხოვრებას, როგორც აქამდე ცხოვრობდა.

მშობიარობის შემდეგ ქალი ღალატში ამხილეს

სოციალური ქსელის მომხმარებელმა ისაუბრა იმის შესახებ, თუ როგორ ამხილა თავისი ნახევარძმის შეყვარებული ღალატში მშობიარობიდან რამდენიმე საათში.

მამაკაცმა განმარტა, რომ მისი 24 წლის ნახევარძმა მულატია, ვინაიდან ის შავკანიანი მამისა და თეთრკანიანი დედის შვილია, ხოლო მისი 25 წლის შეყვარებული ნახევრად აფროამერიკელი, ხოლო ნახევრად აზიელია. როგორც კი მან მათი ახლად დაბადებული თეთრკანიანი ბავშვი ნახა, მაშინვე უთხრა ძმას, რომ ბავშვი მისი არ იყო. ეს გაიგონა ქალმა, გაბრაზდა და ის პალატიდან გააგდო.

თუმცა მასთან ერთად პალატიდან მისი ნახევრძმაც გამოვიდა და გაუმხილა, რომ თავადაც დიდი ხანია ეჭვობდა, რომ შეყვარებული ღალატობდა. ის მას ტელეფონს უმალავდა, ხოლო მეგობრებმა მისი პროფილი ინტერნეტში გაცნობების გვერდზე შენიშნეს. მამაკაცმა უარი განაცხადა ახალდაბადებულის საკუთარ შვილად აღიარებაზე, სანამ დნმ-ს ექსპერტიზის შედეგებს არ მიიღებდა.

ახალგაზრდა დედამ რამდენჯერმე სთხოვა შეყვარებულს, რომ უარი ეთქვა დნმ-ს ანალიზზე, მოგვიანებით კი აღიარა, რომ მას მართლაც ღალატობდა.

კბილის ექიმთან მისული გოგონა სიკვდილს გადაურჩა

ამერიკის ვისკონსინის შტატის ქალაქ ლა-კროსის მცხოვრები კინაღამ სისხლის მოწამვლისგან დაიღუპა კბილის ექიმთან ვიზიტის შემდეგ.

20 წლის ფეიტ ჰოჩს კბილების გასწორება და კორექტირება სურდა. ამისთვის ექიმმა მას შვიდი კბილი ამოულო. საღამოს სახლში მისულმა გოგონამ მწვავე ტკივილი იგრძნო და მეზობელს საავადმყოფოში წაყვანა სთხოვა. ექიმებმა გოგონას ტკივილგამაყუჩებელი გამოუწერეს და სახლში გაუშვეს.

მეორე დღეს ჰოჩის და გრეისმა დაჟინებით მოითხოვა, რომ ფეიტს ისევ მიემართა საავადმყოფოსთვის.

– სულ მეძინა, ხოლო როდესაც მეღვიძებოდა, გული მერეოდა. იმ დღეს 12-ჯერ მაინც მაღებინა, – იხსენებს გოგონა, – გრეისმა დაღუპვას გადამარჩინა. ექიმებმა მითხრეს, რომ შესაძლოა ერთ საათში დავღუპულიყავი.

ჰოჩს ტემპერატურა 40,6 გრადუსამდე აეწია, ხოლო არტერიული წნევა დაეწია. გოგონას კომპიუტერული ტომოგრაფია გაუკეთდა და ის წვეთოვანზე შეაერთეს. მას სეპტიკური შოკი ჰქონდა. ექიმები ვარაუდობენ, რომ გოგონას სისხლის მოწამვლა ერთ-ერთი კბილის ამოღების შემდეგ დაემართა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

18 ივლისისთვის

- აშშ დოლარი — 2.8687
- ევრო — 3.2178
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5580
- 100 რუსული რუბლი — 4.5529

ამინდის პროგნოზი 18 ივლისისთვის

„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

„მე მიყვარს კითხვა“

16 ივლისიდან

ელეონორ პორტერი

პოლიანა

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი



19 ივლისიდან

რევაზ მიშველაძე

ციყვი ბორბალში

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– გუშინ პარაშუტით გადმოვხტი.

– და მერე?

– რა მერე... გავიგე, საიდან გამოიყოფა ადრენალინი.

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– წუხელის სახლში რომ ვმღეროდი, ვიღაცამ ფანჯარა ქვით ჩამიმსხვრია, ეტყობა, უნდოდა, უფრო კარგად მოესმინა.

•••

შვილი მამას ეკითხება:

– მამა, მარწყვი ხომ წითელია?

– კი, შვილო, წითელია.

– შავი წერტილებით?

– კი, შვილო, შავი წერტილებით.

– ულვაშებით?

– ჭიამაია შეჭამე, შე შობელძაღლო?!

•••

კაცს ყოველ წელს ბაღიდან საზამთროს პარავენ. ბოლოს ადგა და ბაღში დაკიდა დაფა წარწერით:

– ფრთხილად, ერთ-ერთ საზამთროში ვირთხის საწამლავია!!!

მეორე დღეს ბაღში ჩასულს, ყველა საზამთრო ადგილზე დახვდა, თუმცა დაფაზე მიწერილი იყო:

– ახლა უკვე ორ საზამთროში!!!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა



სოლსკიაერი: „მანჩესტერი ოთხეულში აუცილებლად უნდა მოხვდეს“

მანჩესტერ იუნაიტედის მთავარმა მწვრთნელმა ოლე გუნარ სოლსკიაერმა განაცხადა, რომ მანჩესტერისთვის მიუღებელია მეხუთე ან მეექვსე ადგილი და გუნდი უფრო მაღალი მიზნებისთვის უნდა იბრძოდეს:

– წინა სეზონი ჩვენთვის წარმატებული არ გამოდგა და შესაბამისი დასკვნები უნდა გამოვიტანოთ. მანჩესტერ იუნაიტედს არ შეეფერება ოთხეულს მიღმა ყოფნა და ჩვენი მთავარი მიზანი ოთხეულში მოხვედრა იქნება. ჩემპიონობისთვის ბრძოლა გაგვიჭირდება, რადგან ამისთვის ჯერ მზად არ ვართ.

ტომას ტუხელი: „ვიცოდი, რომ ნეიმარს წასვლა უნდოდა“

პსჟ-ს მთავარმა მწვრთნელმა ტომას ტუხელმა განაცხადა, რომ მან იცოდა, ნეიმარს გუნდიდან წასვლა სურდა, თუმცა ტუხელი იმედოვნებს, რომ ბრაზილიელი გადაწყვეტილებას შეცვლის და პსჟ-ში დარჩება.

– მე ვიცოდი ნეიმარის სურვილის შესახებ, მაგრამ ეს ხელმძღვანელობის საქმეა და მე მსგავს საკითხებში არ ვერევი. სანამ ნეიმარი პსჟ-შია, მე მასთან მუშაობას გავაგრძელებ და იმედი მაქვს, რომ ის გუნდს არ დატოვებს, – განაცხადა ტუხელმა.

ნეიმარმა პსჟ-ს ხელმძღვანელობას განუცხადა, რომ წასვლა სურს, თუმცა პარიზელები 300 მილიონზე ნაკლებად მის გაყიდვას არ აპირებენ.

კლაივერტი და ზეედორფი კამერუნის ნაკრებიდან წავიდნენ

პატრიკ კლაივერტი და კლარენს ზეედორფი კამერუნის ნაკრებიდან გაათავისუფლეს. ზეედორდი მთავარი მწვრთნელი იყო, ხოლო კლაივერტი – მისი ასისტენტი. ისინი აფრიკის თასზე ნაჩვენები ცუდი შედეგის გამო გაათავისუფლეს, რადგან კამერუნმა მერვედფინალში წააგო ნიგერიასთან და ტურნირს ნაადრევად გამოეთიშა.

ამ დუეტმა კამერუნის ნაკრები შარშან ზაფხულში ჩაიბარა და მხოლოდ ერთი წელი იმუშავა. განთავისუფლების შემდეგ მათ კომენტარი არ გაუკეთებიათ.

მანჩესტერ იუნაიტედი პოგბაში 200 მილიონს ითხოვს

მანჩესტერ იუნაიტედი თავის ლიდერს პოლ პოგბას მხოლოდ იმ შემთხვევაში გაყიდის, თუ რომელიმე კლუბი მასში 200 მილიონს გადაიხდის.

პოგბას ყიდვა რეალს სურს, მაგრამ მადრიდელები ამ თანხის გადახდას არ აპირებენ, ამიტომ შესაძლოა პოგბა მანჩესტერში დარჩეს. გარდა ამისა, ოლე გუნარ სოლსკიაერმა განაცხადა, რომ პოგბა შესაძლოა გუნდის კაპიტანი გახდეს და ის ფრანგ ფეხბურთელზე დიდ იმედებს ამყარებს.

თვითონ პოგბამ თქვა, რომ მას ახალი გამოწვევები სჭირდება, მაგრამ მანჩესტერ იუნაიტედში დარჩენაც არ გამორიცხა.

იგუაინს იუვენტუსიდან წასვლა არ სურს

ტურინის იუვენტუსის არგენტინელ ფორვარდს გონსალო იგუაინს გუნდის დატოვება არ სურს და მან უკვე რამდენიმე კლუბს უარი უთხრა.

იგუაინს რომა კაპიტნობას და მაღალ ანაზღაურებას სთავაზობდა, მაგრამ გონსალომ ისინი უარით გაისტუმრა.

მიუხედავად იმისა, რომ იგუაინზე უფლებები იუვენტუსს ეკუთვნის, გონსალომ რამდენიმე წელიწადი სხვა გუნდებში გაატარა იჯარის წესით.

მისი ბოლო კლუბი ლონდონის ჩელსი იყო.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ქართველი მეცნიერი, გეოდეზიის ფუძემდებელი საქართველოში; 2. უმაღლესი კატეგორიის ადვოკატი ბრიტანეთში; 3. რაიონული ცენტრი კახეთში; 4. ასანთის ქართული სახელწოდება; 5. მუსლიმანთა წმინდა წიგნი; 9. საკურორტო ცენტრი ფლორიდაში; 11. გამჭვირვალე ქსოვილზე ან მინაზე ორივე მხრიდან დახატული სურათი; 12. იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი სვანური სოფელი; 14. იურიდიულად გაფორმებული სავალო ხელწერილი; 18. სახელმწიფო აზიაში; 19. ბალნეოლოგიური კურორტი სამეგრელოში.

თარაზულად: 4. აგარაკი თბილისის მახლობლად; 5. ქართველ მამაკაცთა ძველებური თავსაბურველი; 6. სამეჯლისო ცეკვა; 7. მეხსიერების დაკარგვა; 8. ნახევარკუნძული შავ ზღვაში; 10. ოქროს ვარაყის ძველი ქართული სახელწოდება; 13. საჩუქრად მირთმეული რამე; 15. ძველ რომაელთა ტანსაცმელი; 16. ცხენისა და ვირის ნაშიერი; 17. ეგრისის მთავარი მეექვსე საუკუნეში; 20. მსუბუქი ავტომობილის ძარის ტიპი; 21. შხამიანი გველი; 22. შავი, ტკბილი ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი; 23. ფულის ერთეული ისრაელში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

ХАН ЧАН ЗАН + МА ИН ДОН

გამოიყენება ბუასილის სამკურნალოდ

ЖИАН ЗИ ЗАН

კუჭ-ნაწლავი, უმადობა იმუნიტეტი

БУИ ФУ ДИ ЖУАНЗ ЗАН + СУН САО

აუმჯობესებს პოტენციას



ჩვენ გვჭირდება პიროვნება, რომელიც წამლების რეალიზაციას შეძლებს

BOAI

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ვაკე, ილია ჭავჭავაძის №15
მობ. ტელ: 568-73-73-44
www.facebook.com/Boaigeorgia/